საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვეული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭიანებით ბუტ-თის გაფანა ყველა ეკალდისიბაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 8 აპრილი. 2022 წ. №47 (9385) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რას უქადის პუტინის რუსეთის „მეგობრებს“ გარიყულ ქვეყანასთან მეგობრობა?!

რუსეთს დაღუპავს ამბიცია – „СИЛА ЕСТЬ – УМА НЕ НАДО“

იხ. 5 გვ.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა ნატოს მინისტერიალის ფარგლებში შეხვედრა გამართა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან. შეხვედრაზე მინისტრმა მადლობა გადაუხადა ალიანსს ნატოს მინისტერიალში პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მოწვევისთვის, რაც წარმოადგენს ალიანსის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის მორიგ გამოხატულებას.

ხაზი გაესვა გენერალური მდივნის განსაკუთრებულ პერსონალურ მხარდაჭერას საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ და ამ პროცესში ალიანსის განგრძობითი და მტკიცე მხარდაჭერის უზრუნველყოფის მნიშვნელობას. მხარეებმა დაადასტურეს მზაობა მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლონ. ნატოს გენერალურ მდივანთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ასევე გაცვალეს მოსაზრებები რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოსთან დაკავშირებით.

იენს სტოლტენბერგი:

ვისაც სჯერა დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, უნდა უზრუნველყოს საქართველოს მსგავსი ახლო და ღირებული პარტნიორების მხარდაჭერა

„უკვეთესია მათი მხარდაჭერა მოხდეს მალე, ვიდრე გვიან. შესაბამისად, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც განიხილება დღეს და ხვალ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მხარდაჭერის გაძლიერებაა სხვა პარტნიორებისამდი, რომლებიც რუსეთის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან და რათქმაუნდა, ერთ-ერთი საქართველოა. რუსეთი აკონტროლებს საქართველოს ტერიტორიის ნაწილს. ჩვენ განვიხილავთ, როგორ შეგვიძლია მეტი მხარდაჭერის აღმოჩენა ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერსივრცე, უსაფრთხო კომუნიკაციები, შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა გზით საქართველოს გასაძლიერებლად რუსეთის მხრიდან ზემოქმედებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი ღია რჩება. ბოლო რამდენიმე ათწლეულში ნატოს გაფართოება იყო იმის წარმატებული მაგალითი, თუ როგორ უნდა გავრცელდეს დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სტაბილურობა და მშვიდობა ევროპაში. ორგანიზაციის წევრობის საკითხები გადასაწყვეტია აპლიკანტი ქვეყნისა და ნატოს 30 მოკავშირის მიერ. რუსეთს ან სხვა ქვეყნებს ამ საკითხზე ვეტოს უფლება არ აქვთ. ეს არის აპლიკანტი ქვეყნისა და ნატოს 30 წევრის გადასაწყვეტი“, – აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

მაია ელოშვილი:

გამოიწვიეთ საქართველოს ელჩი 4 უკრაინიდან!

გაწყვიტეთ დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყანასთან, რომლის ხელისუფლება ნაცკრიმინალებთან ერთად, მიზანმიმართულად ხელყოფს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და სტაბილურობას

სოსო ცინცაძე: მაკრონი პუტინმა ბავშვივით მოატყუა 3

დავით ქართველიშვილი: ევროპარლამენტის რეზოლუციებში ჩადებულ ფეიკებთან ბრძოლა თუ მოგვიწია, ეს 4 ევროპარლამენტის სირცხვილი იქნება!

ომარ მარგველაშვილი:

პატრიარქი – ერის სულიერი მოძღვარი

1985 წლის 23 იანვარია. მირეკავს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული, ჩემი მეგობარი ანზორ წიკლაური და მეუბნება, ჩემო ომარ, – უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შენთან შეხვედრა და შენი აშენებული ქორწინების სასახლის დათვალიერება სურსო. მესიამოვნა, თან გამიკვირდა, მართალია, წარსულთან შედარებით საგრძნობლად „დათბა“ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი თავისუფლება იგრძნობოდა, მაგრამ ეკლესიასთან უშუალო და ღია ურთიერთობას მაინც ერიდებოდნენ თანამდებობის პირები. მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, დავთანხმდი და პატრიარქთან შეხვედრის დროც დავთქვით.

სწრაფი ნაბიჯებით ავუყევი ძველი საპატრიარქოს ხის ვიწრო კიბეებს. დავინახე კიბის თავში მდგარი პატრიარქი მიღიმოდა და ისე შემომცქეროდა როგორც დიდი ხნის მონატრებული მამა-შვილს. ძალიან თბილად შემეგება, ჩამიხუტა და მეკამბორა. ამ უდიდესმა ადამიანურმა სითბომ ჩემი გული სამუდამოდ მოინადირა.

იხ. 6-7 გვ.



პრემიერ-მინისტრი გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონულ დირექტორს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონულ დირექტორს მირიანა სპოლიარიჩ ეგერს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს და სამომავლო თანამშრომლობას შეეხო. აღინიშნა, რომ ქართული მხარე აფასებს გაეროს განვითარების პროგრამის წვლილს საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაძლიერების, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია UNDP-ის მხარდაჭერა COVID 19-ის პანდემიის პროცესში და გარემოს დაცვის სფეროში.

ხაზი გაესვა გაეროს განვითარების პროგრამის წვლილს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. ამ კუთხით აღინიშნა გაეროს განვითარების პროგრამის წვლილი ადამიანის უფლებათა ახალი, 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში. ყურადღება გამახვილდა UNDP-ის დახმარებაზე საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის კუთხით. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა წლების განმავლობაში წარმატებული იყო და მომავალშიც გაგრძელდება.

საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, ეხმარება ქვეყანას ჰუმანიტარულად და მხარს უჭერს პოლიტიკურად, მათ შორის ყველა საერთაშორისო ფორმატში. პრემიერმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის უმნიშვნელოვანეს როლს ომის რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის.

თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა კვლავაც გაღრმავდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე. აღინიშნა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სანდო მეგობარია, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობა მაღალ ნიშნულზეა და მნიშვნელოვანია, რომ არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი უწყებების ნაყოფიერ თანამშრომლობას.საუბარი ასევე შეეხო სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებაზე უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გავლენას და ხაზი გაესვა რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის მხარდაჭერის აუცილებლობას, რაც, მთავრობის მეთაურის თქმით, უმთავრესი წინაპირობაა რეგიონში განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პრემიერ-მინისტრის „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა“, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყნის მონაწილეობას ითვალისწინებს. პრემიერ-მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. სულეიმან სოილუმ ირაკლი ღარიბაშვილს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისგან გულითადი მოკითხვა გადასცა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგანი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ესწრებოდნენ.



კახა კალაძე:

კაცობა და ღირსება ნიკა მელიას ძლიერი მხარე არ არის

დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მედიასთან საუბრისას „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ნიკა მელიას მიერ გამოთქმულ ბრალდებებს უპასუხა.

მისი თქმით, ნიკა მელია „ნაციონალური მოძრაობის“ ფორმალური თავმჯდომარეა, სინამდვილეში კი სააკაშვილის ხელის ბიჭია.

„ზოგადად, ყოფილი კონკურენტები ერთმანეთზე ნაკლებად საუბრობენ. მაქსიმალურად თავს შევიკავებ კომენტარისგან. თუმცა, მოკლედ მაინც ვიტყოდი, რომ მელიას არ ესმის ერთი რამ, როდესაც წააგებ უნდა გეყოს ღირსება და გამარჯვებულ კონკურენტს უნდა მიულოცო. თუმცა, კაცობა და ღირსება მისი ძლიერი მხარე არ არის. ეს ბევრ რამეში დადასტურდა. მაგალითად ის, რომ იგი დღეს წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ ფორმალურ თავმჯდომარეს, სააკაშვილის ხელის ბიჭია. წაგებული კაცები მუშტებს აღარ იქნევენ. ასევე, მელია ბათუმში არჩევნებზე ჩასული ვიხილეთ. სასტუმროდანაც კი ვერ ბედავდა გამოსვლას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

51 ოჯახს საცხოვრებელი ბინები დაუკანონეს

თბილისის მერის ინიციატივით, მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება გრძელდება. კახა კალაძემ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად, გლდანის, დიდუბისა და ნაძალადევის რაიონებში მცხოვრებ 51 ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადასცა.

იმ მოქალაქეებს, რომლებსაც წლების განმავლობაში საცხოვრებელი ფართების დაკანონების პრობლემა აწუხებდათ, საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცათ.

„კიდევ 51 ოჯახი გავაბედნიერეთ — საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადავეცით. ეს ადამიანები წლების განმავლობაში ელოდნენ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას და მიხარია, რომ დღეს, ხარების დღესასწაულზე ისინი გავახარეთ. ბინების დაკანონება ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა, რომელიც 2017 წლიდან მოქმედებს. ეს ჩემი მერობის პირველი ვადის საარჩევნო დაპირება იყო და ვასრულებთ კიდეც. უკვე ბევრი ოჯახი გავაბედნიერეთ. მომავალში ყველას დავეხმარებით, ვისაც მსგავსი პრობლემა აწუხებს“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ლურჯი მოცვის მოყვანა გვასწავლიან

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ფერმერი ფერმერისთვის“ (F2F) მხარდაჭერით გამართული ორდღიანი ტრენინგი ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა, ნინო ადამსმა ჩაატარა.

თეორიული და პრაქტიკული სწავლება მოიცავდა ლურჯი მოცვის წარმოების თანამედროვე აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს, რაც გულისხმობს ბაღის მართვას, სხვლა/ფორმირებისა და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მეთოდებს, წამლობის სქემებსა და მიღებული მოსავლის შენახვის ტექნოლოგიებს.

მიმდინარე წელს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის "ფერმერი ფერმერისთვის" (F2F) მხარდაჭერით, ლურჯი მოცვის წარმოების საკითხებზე სწავლება 100-მდე ფერმერს ჩაუტარდება.

მთავრობამ ვალების შემცირება დაიწყო - 55 მლნ ევროს ტრანში უქმდება

მთავრობამ საგარეო ვალების შემცირება დაიწყო. საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმება უქმდება. ფინანსთა სამინისტრო უარს ამბობს 55 მლნ ევროზე, რომელიც ქვეყნის ენერგეტიკული ქსელის გაძლიერებას უნდა მომხმარებოდა.

ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ საქმე ეხება სესხის მე-2 ტრანშის გაუქმებას. მისი თქმით, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციაა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ სესხს დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩართულობის გარეშე აიღებს. როგორც კაკაურიძე განმარტავს, ამ ეტაპზე სასესხო შეთანხმება არ არის ეფექტური, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას შორის ქვესასესხო ხელშეკრულება არ არის გაფორმებული.

„ქვეყნის ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტის ფარგლებში 90 მლნ ევროს ოდენობის სესხის აღება იყო გათვალისწინებული. ეს იყო 15-წლიან სესხი, მათ შორის 3 წელიწად-ნახევარი იყო შეღავათიანი პერიოდი. პირველი ტრანშის, 35 მლნ ევროს ათვისება დაგეგმილია მიმდინარე წელს, ხოლო მეორე ტრანშის, 55 მლნ ევროს ათვისება დაგეგმილი იყო 2024 წლიდან. გასულ წელს ბიუჯეტის ფორმირების დროს ბევრი ვისაუბრეთ, რომ მოგვიწევს ვალების შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება რატიფიცირებული იყო, ეს ხელშეკრულება მოქმედი არ გამხდარა. ვინაიდან ქვესასესხო ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, თუ რამდენად იქნებოდა შესაძლებელი თვითონ ელექტროსისტემას აეღო მომავალში სესხი და ისე განეხორციელებინა გარკვეული პროექტები. სავარაუდოდ, ამდენი მოცულობის სესხის აღება ელექტროსისტემას აღარ დასჭირდება, რადგან ამ წლების განმავლობაში გარკვეული კაპიტალის დაგროვებას თვითონაც შეძლებს და შედარებით ნაკლები მოცულობის სესხის აღება დასჭირდება. ჩვენ ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება; სესხი აღარ ავიღოთ, 55 მლნ ევროს ტრანში უქმდება. პროექტები, რომლებიც 2024 წლიდან უნდა განხორციელდეს, თვითონ ელექტროსისტემა უზრუნველყოფს ბიუჯეტის გარეშე სახსრების მოზიდვას“, — განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტის სასესხო შეთანხმებას ხელი საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2020 წლის 28 ივლისს მოეწერა. პროექტი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას 2026 წლის 15 ივლისამდე უნდა დაესრულებინა.

მინისტრი გვაიმედებს - საწვავის ფასი დაიწევსო!..

ჩვენი მოლოდინია, რომ საწვავის ფასი დაიწევს. საფუძველი არის ახლად გაფორმებული კონტრაქტები, რომლებიც უფრო დაბალ ფასებშია და რომლებიც ჯერ საქართველოში არ შემოსულა, მაგრამ შემოვა, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

„ასევე გვაქვს დიალოგი კერძო სექტორთან, რომ ამ სიტუაციით ვინმემ ბოროტად არ ისარგებლოს. ფიუჩერსული გარიგებები მიმდინარე წლის ნავთობზე არის დაწეული. წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო იწევს და წლის ბოლოს ფასები კიდევ უფრო დაბალია. ტენდენცია კლებისკენაა და პიკური რეალობა გადავლილია“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.



„თავის დროზე ნაპოლეონმა პირველი დამარცხება იგემა ესპანეთში. ვინ დაამარცხა ნაპოლეონი? მწყემსებმა. ესპანეთის მთავრობა შეეკრა ნაპოლეონს, სამაგიეროდ, სოფლის მოსახლეობამ, გლეხებმა და მწყემსებმა იბრძოლეს, როგორც დღეს უკრაინელები იბრძვიან. უბრალო მწყემსებმა ნაპოლეონის საუკეთესო მარშალ ანდრე მასენას კუდით ქვა ასროლინეს“!..

სოსო ცინცაძე: მაკრონი პუტინმა ბავშვივით მოატყუა

— ბატონო სოსო, ამერიკის გადამდგარ გენერალიტეტში წარსულის ნოსტალგია იგრძნობა, მათი აზრით, დე გოლი, ბისმარკი, ჩერჩილი, თუნდაც ტეტჩერი რომ ყოფილიყო დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი, პუტინი ამდენს ვერ გაბედავდა. თუ არსებობს პუტინისთვის ავტორიტეტი, ვინც მას შეაჩერებდა?

— რასაკვირველია, ასეც იქნებოდა და პუტინი ამდენს ვერ გაბედავდა! ელემენტარულად, ნიქსონიც რომ ყოფილიყო, აღარაფერს ვამბობ, თეოდორ რუზველტზე, ფრანკლინ რუზველტზე... საფრანგეთში დე გოლი რომ ყოფილიყო, ამდენს არ გააბედინებდა რუსეთს. მაკრონის მიკვირს, ხვალ-ზეგ არჩევნები აქვს მაკრონს, თავმოყვარეობა არ აქვს, რომ პუტინმა ბავშვივით მოატყუა?! მოსკოვში შეხვედრაზე, 6-მეტრიან, თუ 8-მეტრიან მაგიდასთან რომ ისხდნენ თავსა და ბოლოში, პუტინი დედას რომ ეფიცებოდა მაკრონს, არსად თავდასხმას არ ვაპირებ, უკრაინაში შეჭრას არ ვგეგმავო, იმ შეხვედრიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ პუტინი შევარდა უკრაინაში. მაკრონი დღეს კიდევ ურეკავს პუტინს და ცდილობს დალაპარაკებას. ერთხელ მოგატყუეს, ორჯერ მოგატყუეს, სამჯერ მოგატყუეს, ელემენტარულად, მაკრონი ქრისტიანი კაცია, ნუთუ ბიბლია არ აქვს წაკითხული, სადაც წერია: „ერთხელ ტყუილ ნათქვამს ვინღა დაგიჯერებს“?! ეს პრინციპი არ მოქმედებს ევროპაში?

— მაკრონმა თავი იმართლა, რომ ბაიდენის მსგავსა (გნებავთ, ჯალათს!) ყასაბს ვერ უწოდებს პუტინს, რადგან ჯერჯერობით პუტინთან მოლაპარაკების გამართვა მას აბარია. თუკი მაკრონი ზედმეტ ეპითეტსაც ვერ ბედავს პუტინის მისამართით, ეს დიპლომატიური ეთიკურობით უნდა აიხსნას, თუ გაუბედაობით?

— მაგასაც ვერ ბედავს, რომ თქვას, პუტინი ყასაბიაო. როგორ არ არის ყასაბი? ბავშვივით მოატყუა მაკრონი. 6 საათი უმტკიცებდა, ჭორია, არსად შეჭრას არ ვაპირებ, ამ დროს უკვე შეჭრის ბრძანებაზე ხელი ჰქონდა მოწერილი. კიდევ შელამაზებული ლაპარაკის დროა, რომ მე ამას ასე არ ვიტყოდი, ან ისე არ ვიტყოდი?! კი, რაც 5 და 6 თვის წინ იყვნენ ევროპელები, მათთან შედარებით დღეს სულ სხვანი არიან, ევროპელების ტრანსფორმაცია მოხდა, გერმანიის ახალ კანცლერ შოლცს გერმანელ კომკავშირელ ქალს — მერკელს ვერ შევადარებ, მაგრამ რუსეთს ეს მაინც არ ჰყოფნის. ახლა საბაბს ეძებენ ევროპელი ლიდერები, როგორმე სანქციები შეარბილონ, რაც არასწორია.

— რაც შეეხება ზელენსკის, თუკი იგი უკრაინის ნეიტრალიტეტს არ დათანხმდება, სავარაუდოდ, რუსეთი განახლებული ძალით ხელმეორედ შეიჭრება კიევში. საქართველოშიც პრორუსული ძალები უკვე აქტიურობენ და ინტერესდებიან, რატომ გაწირა ზელენსკიმ საკუთარი ხალხი, თუკი ნეიტრალიტეტს უნდა დათანხმებოდა?

— ზელენსკი ნეიტრალიტეტს დათანხმდება, მაგრამ, მე მგონი, უკრაინელი ხალხი არ დათანხმდება ამას. ნეიტრალიტეტთან დაკავშირებული რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ ტერიტორიაზე, უკრაინელი ხალხის და არა სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის მონაწილეობით. თანაც, რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს ერთი წლის შემდეგ. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი წლის განმავლობაში უკრაინის მოსახლეობა ამოისუნთქავს... არახამიამ თავის მოხსენებაში პირდაპირ თქვა, რომ უკრაინის კონსტიტუციის მიხედვით, რეფერენდუმს უნდა 3 მილიონი ხელმოწერის შეგროვება. სანამ ომია, ამ ხელმოწერების შეგროვება პრაქტიკულად შეუძლებელია. ე.ი. ომის დამთავრების შემდეგ უნდა შეგროვდეს 3 მილიონი ხელმომწერი, მერე ამ 3 მილიონის დარეგისტრირება, რადაში განხილვა და მთელი პროცედურები. ძალიან მეეჭვება, უკრაინელებმა ნეიტრალიტეტს მისცენ თანხმობა მაშინ, როცა 24 საათის განმავლობაში მათ თავზე რაკეტების ცვენა აღარ იქნება. პრაქტიკულად, უკვე ჩაიშალა ეს შეთანხმება.

ლავროვი ამბობს, ცხადი გახდა უკრაინელებისთვის, რომ დონბასის და ყირიმის საკითხი არ განიხილებაო. ეს ნიშნავს, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა. ცოტა დიპლომატიურად იცუღლუტა ზელენსკიმ, როცა 15-წლიანი ვადა დაასახელა, რომ 15 წელი არ შევა სამხედრო ძალით ყირიმში და, რომ პუტინთან შეხვედრისას განიხილავს დონბასის ორი რესპუბლიკის სტატუსს. თუმცა ზელენსკი და პუტინი რომ შეხვდება მოსალაპარაკებლად ერთმანეთს, პუტინი თუ იტყვის, არა, მე დონბასს და ყირიმს საერთოდ არ განვიხილავ, მაშინ ზელენსკი რას გააკეთებს? ადგება მაგიდიდან და წავა ისევე, როგორც რეიკიავიკში რეიგანი ადგა და გორბაჩოვი მიატოვა მარტო? ესეც დიპლომატიაა. იმ პერიოდში ერთი რუსი დიპლომატი, ჩემი მეგობარი მიყვებოდა, რომელიც მაშინდელ შეხვედრას ესწრებოდა, ჩვენ წინა დღეს შევარდნაძესთან ერთად ყველა ვითარება განვიხილეთ, რეიგანმა ეს რომ მოსთხოვოს, გორბაჩოვმა რა უნდა უპასუხოს, ყველა სცენარისთვის მზად ვიყავით, ყველაფერი ჩამოვუწერეთ გორბაჩოვს, მაგრამ აზრად არ მოგვსვლია ის გვეთქვა, უცბად თუ ადგა რეიგანი და გავიდა ოთახიდან, რა უნდა გაეკეთებინა? ამ დროს რეიგანმა ის გააკეთა, რასაც არავინ ელოდა, ის ადგა შუა ლაპარაკის დროს და, როცა გორბაჩოვმა თქვა, მე ამას ვერ დავთმობო, რეიგანმა იფიქრა, გორბაჩოვთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა და გავიდა ოთახიდან. ეს სკანდალი იყო. რეიკიავიკის მოლაპარაკება მაშინ ჩაიშალა. ასე უნდა მოიქცეს ზელენსკიც.

— მაგრამ ამ შემთხვევაში მძევლად საომარ მდგომარეობაში მყოფი უკრაინაა. რამდენად ექნება ზელენსკის თავისუფალი მანევრირების საშუალება პუტინის წინაშე?

— ომი რომ დამთავრდება, ერთი წლის შემდეგ როგორი ვითარება იქნება, ეს სანქციებზეა დამოკიდებული. თუ სანქციები ერთ წელს იმუშავებს, რუსეთს ომის თავი აღარ ექნება. მოდით, გულწრფელად ვთქვათ, მე არ მჯერა, რომ უკრაინის არმია დაამარცხებს რუსეთის არმიას, ეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდება, თუკი ყოველდღიურად ამერიკა მიაწვდის უკრაინას სამხედრო დახმარებას. საინტერესოა, რომ ამერიკის კონგრესში ჩასულ უკრაინის დელეგაციაში სულ ქალები იყვნენ და ითხოდნენ შეიარაღებას, დაწყებული მძიმე არტილერიით, დამთავრებული თვითმფრინავებით. თუ უკრაინას მუდმივად მისცემენ იარაღს, მაშინ უკრაინა გაიმარჯვებს, მაგრამ რთულად წარმომიდგენია, გამუდმებით აძლიონ ზუსტად ის იარაღი, რასაც უკრაინა ითხოვს. ხოლო, თუ უკრაინის ჯარი ვერ დაამარცხებს რუსეთის ჯარს, მაშინ რუსეთს სანქციები დაამარცხებს, თუკი ეს სანქციებიც არ გააუქმეს და არ შეარბილეს.

ძალიან მეეჭვება, უკრაინელებმა ნეიტრალიტეტს მისცენ თანხმობა მაშინ, როცა 24 საათის განმავლობაში მათ თავზე რაკეტების ცვენა აღარ იქნება

— ზოგიერთები ფიქრობენ, რომ უკრაინა არის მსხვერპლი. როგორც თავის დროზე ავღანეთი გაწირა დასავლეთმა, რუსეთს მიუგდო და ამით საბჭოთა კავშირის დაშლა დააჩქარა, დღესაც უკრაინა სატყუარაა პუტინისთვის. პუტინი ამ მახეში გაება?

— ავღანეთი დასავლეთს არ მიუტოვებია. ავღანელებისთვის სტინგერები რომ არ მიეცათ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა. სტინგერებმა მოიგო ის ომი. ავღანელებს სტინგერები ჰქონდათ, ავღანელები მეომარი ხალხია, როგორც უკრაინელები, მათ სტიმული ჰქონდათ და იბრძოდნენ თავიანთი მიწისთვის. ბოლო 20 წელი ავღანეთს არანაირი სტიმული არ ჰქონდა, ახლანდელი ავღანელები ამბობდნენ, ამერიკელებმა იომონ, მაინც ხომ ამერიკელები მართავენ ჩვენს ქვეყანასო. თავის დროზე, 1807 წელს ნაპოლეონმა პირველი დამარცხება იგემა ესპანეთში. ვინ დაამარცხა ნაპოლეონი? — მწყემსებმა. ესპანეთის მთავრობა შეეკრა ნაპოლეონს, სამაგიეროდ, სოფლის მოსახლეობამ, გლეხებმა და მწყემსებმა იბრძოლეს, როგორც დღეს უკრაინელები იბრძვიან. უბრალო მწყემსებმა ნაპოლეონის საუკეთესო მარშალ ანდრე მასენას კუდით ქვა ასროლინეს და გამოაგდეს იქიდან.

— ყოველ შემთხვევაში, თუკი ჩავთვლით, რომ უკრაინა პუტინისთვის სატყუარა გახდა, რასაც ის წამოეგო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკრაინასთან ომით დასრულდება პუტინის იმპერია? შეიძლება ვენდოთ დასავლეთის დაზვერვის მონაცემებს, რომ კრემლის კარზე ვითარება არეულია?

— მე მჯერა ამერიკელების და ბრიტანეთის დაზვერვის, რადგან როცა მთელი მსოფლიო და ჩვენც ვიძახდით, რომ არ დაესხმება რუსეთი უკრაინას, პუტინს რად უნდა ზედმეტი თავის ტკივილი, აღიარა უკვე უკრაინის ოკუპირებული რეგიონები და გიჟი ხომ არ არის, უკრაინას დაესხას, ამ დროს ამერიკის დაზვერვა ზუსტად ამბობდა, რომ პუტინი თავს დაესხმებოდა უკრაინას და მხოლოდ ორ-სამ დღეში შეცდა. ახლა, როდესაც ამერიკის და ბრიტანეთის სპეცსამსახურები ამბობენ, რომ პუტინს ყალბ ცნობებს აწვდიან, მე ესეც მჯერა. დღეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც ხელისუფლებასა და რეალობას შორის უფსკრული ჩნდება. პუტინმა არ იცის რეალობა, მას ეუბნებოდნენ, ჩვენი ჯარი, ჩვენი რაკეტა „კინჯალი“, ჩვენი ტანკები 2-3 საათში აიღებენ ქალაქებს. ლუკაშენკო სოლოვიოვს ეუბნებოდა, მაქსიმუმ, ჩემი დიდი პატივისცემით უკრაინელების მიმართ, 3 დღე დასჭირდეს რუსეთს კიევის ასაღებად. ეს ინფორმაცია ხომ მიდიოდა პუტინამდე? ისიც იჯერებდა, რომ 2-3 დღე დასჭირდებოდა კიევის აღებას. ის, რომ სირიიდან ჯარისკაცები ჩამოჰყავს, ესეც არარეალურია, რადგან სირიელი ბოევიკები სირიაში იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნისთვის, უკრაინაში საბრძოლველად კი 7 ათას დოლარს აძლევს პუტინი თვეში. ისინი ახლა ფულისთვის ომობენ, მაგრამ ეს ომი უნდათ იმისთვის, რომ ფული აიღონ და ცოცხლები წავიდნენ თავიანთ სახლში, ეს ფული სირიაში წაიღონ, სულაც არ უნდათ, თავი შეაკლან უკრაინას. უკრაინაში უკვე საომარი მოტივაცია აღარ აქვთ სირიელებს, მათ სურთ, ომი გაჭიანურდეს, იყოს პოზიციური ბრძოლები, ყოველთვე 7 ათასი დოლარი ჩაიჯიბონ. სირიელები სულელები არ არიან, სულაც არ ანყობთ, ვერც ფული აიღონ და დაიხოცონ კიდეც...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჟოზეფ ბორელი: ევროკავშირი კვლავ მზად არის, გააძლიეროს თანამშრომლობა საქართველოსთან მისი მედეგობის გასაძლიერებლად

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური ჟოზეფ ბორელსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს შორის გამართულ შეხვედრაზე განცხადებას მიუერთდა.

„უმაღლესმა წარმომადგენელმა დაადასტურა ევროკავშირის სრული მხარდაჭერა საქართველოს მიმართ მიმდინარე რთულ რეგიონულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში. ევროკავშირი კვლავ მზად არის, გააძლიეროს თანამშრომლობა საქართველოსთან მისი მედეგობის გასაძლიერებლად. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროკავშირის ურყევი ერთგულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. უმაღლესმა წარმომადგენელმა ბორელმა ხაზი გაუსვა ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების ვალდებულებას, კიდევ უფრო გააღრმავონ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, მიაღწიოს კონკრეტულ და სწრაფ პროგრესს ძირითადი რეფორმების პრიორიტეტებში, კერძოდ შიდაპოლიტიკური პოლარიზაციის შემდგომი დაძლევის, სასამართლო სისტემის რეფორმისა და შეთანხმებული საკონსტიტუციო რეფორმების მიღების მიზნით“, — ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის ცნობით, მოსკოვი საქართველოს ტერიტორიის გავლით კონტრაბანდისთვის დერეფანს ამზადებს.

„საერთაშორისო სანქციების შემოღების გამო, რუსეთის ფედერაციამ დაკარგა სამხედრო, ორმაგი და სამოქალაქო საქონლის ფართო სპექტრის მიწოდების შესაძლებლობა. სანქციების გვერდის ავლით, რუსი აგენტები ქმნიან კონტრაბანდის არხებს, რომლებიც გადის, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დაავალა, ხელი არ შეეშალათ კონტრაბანდისტების საქმიანობისთვის“, — აცხადებს უკრაინული მხარე და ამტკიცებს, რომ ასევე განიხილება საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო კომუნიკაციის აღდგენის შესაძლებლობაც.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურში უკრაინის ბრალდებას უარყოფენ. სუსი უკრაინულ მხარეს მოუწოდებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ მათი დაზვერვის მთავარი სამმართველოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები „მათზე სამართლებრივი რეაგირების მიზნით“.

უკრაინული მხარის ბრალდება გამოიწვევს თუ არა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას, ვინ დგას უკრაინული მხარის გაჟღერებული ბრალდების უკან და აღნიშნულ ბრალდებას როგორ უნდა უპასუხოს საქართველომ?

გვესაუბრება ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი.

დავით ქართველიშვილი: ევროპარლამენტის რეზოლუციებში ჩადებულ ფეიკებთან ბრძოლა თუ მოგვიწია, ეს ევროპარლამენტის სირცხვილი იქნება!

— უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის ბრალდება გამოიწვევს თუ არა საქართველო-უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას?

— ლოგიკურად ასეც უნდა მოხდეს. დღეს საქართველო უკრაინის მხრიდან, უმსგავსო გამოხდომებთან მიმართებაში შემწყნარებლურ პოზიციას ინარჩუნებს. სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლის მხრიდან მსგავსმა გამოხდომებმა სისტემატური სახე მიიღო, ამიტომ არ გვსურს ვითარება გავამწვავოთ და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ომში გადავიყვანოთ. ეს ომი ჩვენთან მიმართებაში ისედაც მიმდინარეობს, მაგრამ ომი ჩვენ არ დაგვიწყია. ჩვენ ომით გამოწვეულ სხვადასხვა შედეგებს ვიგერიებთ და ამავდროულად, უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ მეგობრული ქვეყნის პოზიციებიდან მხარდაჭერის ხაზს ვაგრძელებთ.

— უკრაინის დაზვერვის სამსახურს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი მაღალჩინოსანი გია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს, რას ფიქრობთ, ეს განცხადება მისი დაწერილია?

—- ცნობილია იმ კოლექტივის ვინაობა, ვინც უკრაინის ხელისუფლებაში პოლიტიკურ პროცესებს მართავს. პოლიტიკურ პროცესებს ღიად მართავს **დავით არახამია,** მართლმსაჯულების პროცესს სათავეში **ზურა ადეიშვილი** უდგას, დაზვერვასა და სპეცსამსახურებს **გია ლორთქფანიძე** ხელმძღვანელობს, დარწმუნებული ვარ, თავდაცვის სამინისტროში ერთ-ერთ მრჩევლად გენერალი **გიგი კალანდაძე** ეყოლებათ, ეკონომიკურ გუნდში მოღვაწეობენ **გიორგი ცხაკაია, გიზო უგლავა, გია გეწაძე** და ა.შ. საქართველოს წინააღმდეგ მომართული იდეები, რა თქმა უნდა, „ნაცების კორპორაციის“ იმ წარმომადგენლების ავადმყოფურ თავებში იბადება, რომლებიც დღეს უკრაინის ხელისუფლებაში არიან ჩანერგილები. ამ იდეების შემდგომ გახმოვანებას უკრაინელი პოლიტიკოსები აკეთებენ, როგორც ეს უკრაინის ვიცე-პრემიერმა **ირინა ვერეშჩუკმა** გააკეთა. ანუ, გამოდის რა — იდეის ავტორები და ტექსტის დამწერები ჩვენი ე.წ. ქართველები არიან, რომლებსაც ქართველობასთან არაფერი საერთო — არც ეროვნება, არც მამული, არც ენა და არც სარწმუნოება არ გააჩნიათ. ამ „კორპორაციის“ შემადგენლობაში თავისუფლად შეგვიძლია ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონიც** ჩავსვათ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა, **ვიოლა ფონ კრამონს** თავის ინტერვიუში ისე ეჩქარებოდა, რომ საქართელოს ხელისუფლება რუსეთთან ერთად ფულის შოვნაში დაადანაშაულა. ეს უბინძურესი ბრალდებაა და რაც უნდა მაღალი ეშელონის წარმომადგენელი იყოს, მსგავსი ტიპის ბრალდების გამხმოვანებელი პოლიტიკოსი არც ერთმა თავმოყვარე ქვეყანამ საკუთარ ტერიტორიაზე აღარ უნდა შეუშვას.

— საქართველოში უკრაინის დაზვერვის განცხადებებს სასამართლოდან ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აუღერებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ციხიდან მართავს უკრაინაში თანამოაზრეებს?

— სააკაშვილი თავის იდეებს და გეგმებს ციხეში წერს, რომელიც შემდგომ ადვოკატების მეშვეობით ციხიდან გარეთ გამოდის. ამის შემდეგ მისი წერილები მის ფეისბუქ-გვერდებზე, ან „მთავარი არხის“ საინფორმაციო განყოფილებაში ხვდება. ასევე, უკრაინაში მის მოქმედ „კორპორაციის“ თანამშრომლებთან უკვე ჩამოყალიბებული გეგმები მიდის და მათ უკვე იციან, რა უნდა გააკეთონ. ნაციონალებს არც ქვეყნების სხვადასხვაობა, არც თავისუფლებაზე თუ ციხეში ყოფნის ფაქტორი არ აჩერებთ. ისინი მუშაობენ ყველა პოზიციიდან — უკრაინიდან, საქართველოდან, ციხიდან თუ თავისუფლებიდან. მათ ერთი მიზანი აქვთ — ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ამ დაბრუნების გზაზე საქართველო საერთაშორისო რუკებიდან თუ გაქრება, არ ადარდებთ.

— სუს-ის მოთხოვნა გასაგებია, თქვენ რას ფიქრობთ, ქართულმა მხარემ ამ ბრალდებას კონკრეტულად როგორ უნდა უპასუხოს?

— თუ უმოკლეს ვადაში უკრაინული მხარის მიერ არც ერთი მტიცებულება არ იქნება წარმოდგენილი, საქართველომ დიპლომატიური მისიის წარმომადგენლობის მუშაობა უნდა შეწყვიტოს და დიპკორპუსის მთლიანი შემადგენლობა სამშობლოში უნდა გამოიწვიოს. ეს ჯერ-ჯერობით არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკრაინასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს ვწყვეტთ. გამორიცხული არაა „კორპორაციას“ თავში უგუნური განზრახვა მოუვიდეს და რომელიმე ჩვენს დიპლომატს ბრალი ჯაშუშობაზე წაუყენოს. ასეთ პროვოკაციებს დღეს ადგილი აქვს და სამწუხაროდ, პროვოკაციები არ წყდება. ყველაფერს თავი რომ ავარიდოთ, მინიმუმ ჩვენი დიპლომატების ჩამოყვანა უნდა უზრუნველვყოთ. რა იქნება შემდგომ, ეს უკვე ცალკე გადასაწყვეტი თემაა.

— თქვენ ამბობთ, რომ სწორედ ლორთქიფანიძე, ადეიშვილი და არახამია გაწირავენ ქართველ დიპლომატებს?

—- რატომ უნდა გამოვრიცხოთ, როდესაც ლორთქიფანიძის, უკრაინის ვიცე-პრემიერისა და ევროპარლამენტარის ტვინში ასეთი სიბინძურე იხარშება და შემდეგ საჯაროზე გამოდის?! საქართველო და რუსეთი უკრაინელებით ფულს შოულობენო — ამაზე უბინძურესი რა უნდა მოხდეს? ჩემი ვარაუდია, რომ შეიძლება ამაზე ბინძური რამ მოხდეს, აი, ზუსტად ის, რომ ჩვენს დიპლომატებს, რომლებმაც ალყაშემორტყმული კიევი ბოლოს დატოვეს და ბოლო წამამდე ეხმარებოდნენ უკრაინის მოქალაქეებს, სწორედ მათ დასდონ ჯაშუშობაში ბრალი.

— უკრაინის დაზვერვის განცხადებას ევროპარლამენტის ანგარიშიც მოჰყვა. საქართველოს მიმართ ბრალდებები როგორ აისახება საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში?

— აღნიშნული ცილისწამების გავრცელებისთანავე სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელს **ნედ პრაისს** ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული შეკითხვა დაუსვეს და მან მკაფიო პასუხი გასცა. მან არ მიიღო „მთავარი არხის“ ჟურნალისტის შეკითხვა და მხოლოდ კონკრეტულ ბრალდებას უპასუხა — „ეს სისულელეა და საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა უკრაინის ომთან მიმართებაში აბსოლუტურად ჯდება საერთაშორისო თანამეგობრობის სულისკვეთების პაკეტში“. დღეიდან, თუ რომელიმე ანგარიშში ცილისწიმება მოხვდება, ეს იმ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს უფრო დააზარალებს, ვიდრე საქართველოს, რომელსაც სურთ ზიანი მიაყენონ იმით, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში გაჟღერებული იქნება ცილისწამება. ფეიკს და ცილისწამებას ძირითადად მედიასივრცეში ვებრძვით, მაგრამ თუ მოგვიწია ევროპარლამენტის რეზოლუციებში ჩადებულ ფეიკებთან ბრძოლა, ეს ევროპარლამენტის პრობლემა და სირცხვილი იქნება.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

მაია ელოშვილი: გამოიწვიეთ საქართველოს ელჩი უკრაინიდან!

გაწყვიტეთ დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყანასთან, რომლის ხელისუფლება ნაცკრიმინალებთან ერთად, მიზანმიმართულად ხელყოფს ჩვენი ქ ვეყნის უსაფრთხოებას და სტაბილურობას

მივმართავ ხელისუფლებას! უკრაინის ხელისუფლების მიერ, წინასწარ დაწერილი სცენარით, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღსაკვეთად, დაუყოვნებლივ:

1. გამოიწვიეთ საქართველოს ელჩი უკრაინიდან და **გაწყვიტეთ** დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყანასთან, რომლის ხელისუფლება ნაცკრიმინალებთან ერთად, მიზანმიმართულად ხელყოფს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და სტაბილურობას.

2. სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცით ყველა ის პირი, რომელიც მოუწოდებს ხელისუფლების ძალადობით შეცვლისა და სამთავრობო უწყებებში შეჭრისკენ.

3. შესაბამისმა უწყებებმა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანონ უკრაინიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, ლტოლვილის ან ტურისტის სტატუსით შემოსული პირები, რომელთა შორის დიდი ალბათობით იქნებიან ნაცმკვლელთა მიერ დაქირავებული მებრძოლები, ე.წ. „ქართული მაიდნის“ მოსაწყობად.

4. დაიწყეთ აქტიური დიალოგი ამერიკისა და ევროპული ქვეყნების ლიდერებთან, უკრაინის ხელისუფლების ნაცკრიმინალებთან თანამშრომლობასა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული განცხადებების თაობაზე და კატეგორიულად მოითხოვეთ მათგან წინასწარგამიზნულ ცილისწამებებზე რეაგირება.

5. საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა, ყოველდღიურ რეჟიმში მოახდინონ პოლიტიკური ლიდერების, საერთაშორისო საზოგადოებისა და უკრაინელი ლტოლვილების ინფორმირება, საქართველოს მიერ უკრაინის მიმართ გაწეული დახმარებისა და საქართველოს წინააღმდეგ, უკრაინის ხელისუფლების ცილისმწამებლური განცხადებების შესახებ.

6. დაიწყეთ სისხლის სამართლებრივი დევნა ყველა იმ ნაცკრიმინალის მიმართ, რომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა.

7. სისხლის სამართლის კოდექსში აღადგინეთ მუხლი სახელმწიფო ღალატისა და ცილისწამების შესახებ, მკაცრი სანქციებით.

8. მოიხსენით ყველა ვალდებულება ნაცკრიმინალებთან თანამშრომლობის თაობაზე და მიიღეთ ყველა კანონიერი ზომა, "ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციიდან მოსახსნელად.

9. წაუყენეთ ბრალი მიხეილ სააკაშვილს, როგორც

რას უქადის პუტინის რუსეთის „მეგობრებს“ გარიყულ ქვეყანასთან მეგობრობა?!

რუსეთს დალუპავს ამბიცია – თუ ძალა გაქვს, ჭკუა არ გინდა!

უკრაინაში **რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა, მსოფლიოს ცვლის. რუსეთი, რომელსაც მანამდე ვიცნობდით, აღარ არსებობს. ზესახელმწიფოდან იგი ყოველდღიურად სულ უფრო ღარიბ, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად იზოლირებულ ქვეყნად იქცა. მისი ლიდერი, რომელსაც ჯერ კიდევ ორიოდ თვის წინ დასავლეთში „strong man“-ად მოიხსენიებდნენ, ახლა მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის „mad man“-ია ერთადერთი პერსპექტივით — ან საკუთარმა გარემოცვამ გამოასალმოს სიცოცხლეს, ან ჩამოაგდონ და საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლოს, როგორც სამხედრო დამნაშავე. რუსული ჯარი კი, რომელიც „მსოფლიოს №2 არმიად“ ითვლებოდა, ახლა ყველასთვის მხოლოდ სუსტად მომზადებული, ცუდად შეიარაღებული და აღჭურვილი, დროს ჩამორჩენილი სარდლების მიერ მართული ხროვაა, რომელიც ბრძოლაში კვლავინდებურად ეყრდნობა ძველისძველ რუსულ პრინციპს „сила есть – ума не надо“.**

კრემლი წლების განმავლობაში ახერხებდა სასჯელის არიდებას სიცრუის, (როგორც ახლა გაირკვა) არარსებული „ზეიარაღით“ დაშინების, ცალკეული უცხოელი პოლიტიკოსების მოსყიდვის, პოლიტიკური მიზნით ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებისა და სხვა მსგავსი არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენებით. მას მეტისმეტად ბევრი რამ „ეპატია“ — ჩეჩნეთის, საქართველოს, დონბასის ჩათვლით. ეს ყველაფერი მაშინ დასავლეთისთვის „სადღაც იქ“ იყო, „შორს“. მაგრამ ახლა, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, ომი ევროპის შუაგულში დაბრუნდა, ყველაფერი შეიცვალა. მსოფლიომ გამოიღვიძა და კრემლის აღარ სჯერა.

ნატოც, აშშ-ც, დასავლეთევროპული ქვეყნებიც, რომლებიც ყველაზე დაძაბულ მომენტებშიც კი „რუსეთთან საუბრის აუცილებლობის“ იდეის ერთგულნი რჩებოდნენ (რაც არცთუ იშვიათად მოსკოვის წინაშე დათმობებით სრულდებოდა), ახლა ერთხმად აღიარებენ, რომ ეს მცდარი კურსი იყო. ისინი რუსეთს აგრესორად მოიხსენიებენ, ხოლო პუტინს — სამხედრო დამნაშავედ. „პარტნიორების მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, ჩვენ ვეჭიდებოდით ხიდებს, რომლისაც თავად რუსეთს აღარ სჯეროდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იმპერიული სიგიჟით შეპყრობილი პუტინი თავისი ქვეყნის სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მორალურ გახრწნაზე წავიდოდა“ — განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა** და პირველად აღიარა მარცხი როგორც „რუსეთის მონაწილეობით საერთო ევროპული სახის შექმნის“, ისე „ევროპული უსაფრთხოების საერთო არქიტექტურაში რუსეთის ჩართვის“ მიმართულებით. აშშ-ის პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი კი პუტინის სამხედრო დანაშაულებისთვის გასამართლებისკენ მოწოდებით გამოვიდა.

უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის გამო აშშ-მა და დასავლეთის ქვეყნებმა მოსკოვს მთელი რიგი სანქციები დაუწესეს, რომელიც არა მარტო პოლიტიკოსებსა და ჩინოსნებს, არამედ რიგით მოქალაქეებსაც შეეხოთ. ასობით კორპორაციამ და ბრენდმა რუსეთში ბიზნესი შეწყვიტა. დაკეტილი ოფისები, რესტორნები, სალონები და ბუტიკები, ცარიელი დახლები, მედიკამენტების, ჰიგიენის საშუალებებისა და პირველადი საჭიროების სხვა საქონლის დეფიციტი, რუსეთის მცხოვრებთა ბრძოლა შაქრისა და სხვა პროდუქტებისთვის — რიგით მოქალაქეთა მობილურებით გადაღებული და სოცქსელებში განთავსებული ეს კადრები მხოლოდ დასაწყისს ასახავს იმ მძიმე პროცესებისა, რომელიც „ახალ“ რუსეთს ელის.

კრემლის სადეზინფორმაციო პროპაგანდას აყოლილი რუსეთის მცხოვრებნი ამაში დასავლეთს ადანაშაულებენ და იმეორებენ, რომ „რიგითი მოქალაქეები არაფრის გამო ისჯებიან“. თუმცა არსებობს ისეთი რამ, რაც კოლექტიური პასუხისმგებლობა: ყველას, ვინც პუტინის 22-წლიანი მმართველობა უზრუნველყო და ახლაც კი მხარს უჭერს რეჟიმის ქმედებებს, მძიმე ფასის გადახდა მოუწევს ყველაფერში, რაც პუტინმა წარსულში ჩაიდინა და ახლაც სჩადის როგორც თავად რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ევროკომისიამ უკვე დააანონსა მოსკოვის საწინააღმდეგო სანქციების მეხუთე პაკეტი, მათ შორის — რუსული ნახშირის იმპორტის აკრძალვა. ეს პირველი შემზღუდავი ნაბიჯი იქნება რუსეთის ენერგოსექტორის მიმართ — რომელიც პუტინის ქვეყნისთვის შემოსავლის უმთავრეს და ერთ-ერთ ბოლო წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, ევროკავშირს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა დამატებით ზომებზე, რომელმაც შესაძლოა, რუსული ნავთობის იმპორტის აკრძალვაც მოიცვას. აშშ-მა და ბრიტანეთმა უკვე განაცხადეს, რომ რუსული ნავთობის იმპორტს წყვეტენ. პოლონეთი რუსული ნახშირისა და ნავთობის იმპორტის შეწყვეტას გეგმავს, ხოლო ლიტვა რუსეთის ბუნებრივ აირს აღარ იყენებს.

„ევროპამ უნდა დააჩქაროს უარის თქმა რუსულ ენერგომატარებლებზე, გათავისუფლდეს ამ დამოკიდებულებისგან, დააწესოს სავალდებულო ემბარგო, რათა შეწყდეს ბომბების დაფინანსება“, — განაცხადა ევროპული პარლამენტის თავმჯდომარემ რობერტა მეტსოლამ.

ამასთან, მან ევროკავშირის ქვეყნებს უკრაინაში რუსული ჯარის სავარაუდო სამხედრო დანაშაულების საპასუხოდ მოსკოვის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღებისკენაც მოუწოდა.

„უკრაინა წარმოუდგენელ პირობებში იბრძვის ჩვენი ფასეულობების დასაცავად. ევროკავშირმა რუსეთს ეს ქმედებები ყველაზე დიდ შეცდომად უნდა უქციოს, რომელიც კი მოსკოვს ოდესმე ჩაუდენია. ამასთანავე, უნდა ვდევნიდეთ ყველას, ვინც მხარს უჭერს პუტინს და საიმედოდ ამოვქოლოთ სანქციებისთვის გვერდის ავლის ყველა ხვრელი“, — დასძინა მეტსოლამ.

ასე, რომ ყველამ, ვინც დღემდე ენერგოდამოკიდებულია რუსეთზე, სასწრაფოდ უნდა იფიქროს დივერსიფიკაციაზე, ხოლო ვინც რუსეთს რამით მაინც ეხმარება სანქციებისთვის გვერდის ავლაში, ეს სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ კი 5 აპრილს რუსეთს საგარეო ვალის სანქციების ფარგლებში „გაყინულ“ დასავლურ ანგარიშებზე არსებული სახსრებიდან დაფარვა აუკრძალა. ახლა მოსკოვს მოუწევს, ვალი იმ რეზერვებიდან იხადოს, რომლებიც დასავლეთმა ჯერ ვერ შეუზღუდა.

„რუსეთს არჩევანი აქვს დოლარის ფასეული რეზერვების ამოწურვასა და დეფოლტს შორის“, — განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა და დასძინა, რომ **„ეს აიძულებს მოსკოვს, თავისი ბიუჯეტის სხვა ხარჯვითი მუხლების, მათ შორის ჯარის დაფინანსება შეამციროს“.** აქედან გამომდინარე, ყველამ, ვინც ფინანსურად მეტნაკლებად დამოკიდებული იყო დეფოლტის რეალური რისკის წინაშე დამდგარ რუსეთზე, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ალტერნატივების ძიება.

პარალელურად, 40-ზე მეტი სახელმწიფო რუსეთისა და მისი ჯარის მიერ უკრაინაში სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების ერთობლივ გამოძიებას აწარმოებს. დამოუკიდებლად იძიებს იგივეს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოც. და სადღეისოდ უკვე საკმარისზე მეტი რაოდენობის მტკიცებულებებია მოპოვებული, რათა ამჯერად სასჯელს ვეღარავინ გაექცეს — ვერც პუტინი, ვერც მისი არმია, ვერც ნებისმიერი სხვა, ვინც ამა თუ იმ კავშირშია ამ გამაოგნებელ, უპირველესად თავად რუსეთისთვის უკიდურესად საზიანო სამხედრო ავანტიურასთან. შესაბამისად, იმ მცირერიცხოვან მოთამაშეებს, რომლებიც ჯერ კიდევ „მეგობრობენ“ პუტინის რუსეთთან, ინარჩუნებენ მასთან პარტნიორულ თუ სამოკავშირეო ურთიერთობებს, ან უბრალოდ თანამშრომლობენ გარკვეულ საკითხებში, ჰმართებთ, კარგად დაფიქრდნენ, ხომ არ დადგა დრო, მთელს ცივილიზებულ სამყაროსა და ამჟამინდელ რუსეთს შორის დაპირისპირებაში სწორი მხარე აირჩიონ.

იმის თვალსაჩინო მტკიცებულებად, რამდენად კატასტროფულ უმცირესობაში აღმოჩნდა პუტინის რუსეთი მსოფლიოში, ამასწინათ გაერო-ში გამართული კენჭისყრის შედეგებიც გამოდგება: უკრაინას იქ მხარი აბსოლუტურმა უმრავლესობამ — 140-მა სახელმწიფომ დაუჭირა, ხოლო პუტინის რუსეთს — მხოლოდ 5-მა, თავად რუსეთის ჩათვლით (რუსეთის ფედერაცია, ბელარუსი, ერითრეა, ჩრდილოეთ კორეა, სირია). ჩინეთმაც კი — ტრადიციულმა მოკავშირემ პუტინისა, რომელიც ამ ომის წამოწყებისას პეკინზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა, ამჯობინა, „შარისგან შორს“ დაეჭირა თავი.

სხვათა შორის, გაერო — ეს სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელთან დაკავშირებითაც აფხაზეთის ახალი „საგარეო საქმეთა მინისტრი“, კრემლის მიერ ხელდასმული ინალ არძინბა სულ ცოტა ხნის წინ ასე აიმედებდა მოსახლეობას „ფართო საერთაშორსო აღიარების მიღწევის“ კუთხით. ორგანიზაციაში ამ პროცესის ლოკომოტივის როლი აფხაზეთის „სტრატეგიულ მოკავშირე“ რუსეთს უნდა ეკისრა. ვფიქრობ, ყოველივე ზემოთთქმულის, მათ შორის გაეროში გამართული კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, ზედმეტი იქნება იმის ახსნა, რატომ ამოიძირკვა აფხაზეთისთვის, ისევე, როგორც ე.წ. „სამხრეთ ოსეთისთვის“, ძირშივე ეს პერსპექტივა. მით უფრო, რომ უკრაინულ ქალაქ ბუჩაში რუსული ოკუპაციის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი წამებისა და მკვლელობის სულ უფრო მეტი მტკიცებულების გამოჩენის ფონზე უკვე გაისმის მოწოდებები გაეროდან რუსეთის გარიცხვის თაობაზე.

ასეა თუ ისე, როგორც არ უნდა დასრულდეს ეს ომი, პუტინის რუსეთს თვალსაწიერ მომავალში სასიკეთო არაფერი ელის — არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური, არც ნებისმიერი სხვა კუთხით. ისევე, როგორც დამაიმედებელი არაფერი ელით მის მოქალაქეებს, რომლებიც მზარდი დიქტატურის, საპოლიციო სახელმწიფოს ნიშნების, ტოტალური ცენზურის, სრული საინფორმაციო ვაკუუმისა და ცხოვრების დონის ყოველდღიური გაუარესების მიუხედავად, რუსეთში რჩებიან. თუმცა ეს მათი არჩევანია, მათი მრავალწლიანი არჩევანის შედეგი და სანამ ეს არჩევანი არ შეიცვლება, თითოეულ მათგანს ამ შედეგის საკუთარ თავზე წვნევა მოუწევს. აი, პუტინის რუსეთის „მეგობრებისთვის“ კი ჯერ კიდევ არაა გვიანი, სწორი არჩევანი გააკეთონ და ჩახტნენ ფსკერისკენ მიმავალი გემიდან საკუთარი თავისათვის გადასარჩენად!..

დანაშაულებრივი რეჟიმის შემოქმედს, ყველა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, მათ შორის ბოლო დღეებში გაკეთებული ძალადობრივი მოწოდებების გამო.

10. საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველზე, ნაცკრიმინალებს, რომელთა მიმართ დადგება გამამტყუნებელი განაჩენები, დაეკისროთ ქონებრივი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე და მათ ჩამოერთვათ საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება.

11. საქართველოს პარლამენტმა მიიღოს ლუსტრაციის კანონი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღება და ქვეყანას მიეცემა განვითარების საშუალება.

ზემოჩამოთვლილი მოთხოვნების შეუსრულებლობის და ნაცკრიმინალების დაუსჯელობის შემთხვევაში, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ვიტოვებთ უფლებას, არ დავუშვათ ნაცმკვლელთა ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით დაბრუნება, გამოვიყენოთ პროტესტის ყველა მშვიდობიანი ფორმა მათი პოლიტიკური პროცესისგან ჩამოსაშორებლად და სამართლიანობის აღსადგენად, — წერს **მაია ელოშვილი.**

ᲝᲛᲐᲠ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ — ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) შეხვედრა რომელიც პატრიარქის თაოსნობით შედგა, კალისტრატე ცინცაძის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდა მცირერიცხოვანი წმინდა სინოდის თითქმის მთელი შემადგენლობა. უნეტარესმა თითოეულ მათგანთან წარმადგინა, როცა გაცნობის ოფიციალური ცერემონიალი დასრულდა, პატრიარქმა საჩუქრად გადმომცა მწვანეყდიანი რუსულენოვანი ბიბლია წარწერით – **„ბატონ ომარ მარგველაშვილს, კეთილი სურვილებით, ილია II, 23.01.1985 წელი“,** ხატთან და თავის სადარბაზო ბარათთან ერთად. მან გულისტკივილით ბრძანა – **„მიუხედავად ჩემი დიდი ძალისხმევისა, მთავრობის გულგრილობის გამო, ქართულენოვანი ბიბლიის გამოცემას ვერ მივაღწიეო...“**

შემდეგ ხმელი ხილითა და კონიაკით გაწყობილ მაგიდასთან მიგვიწვია. უწმინდესმა ვერცხლის ძველებური პატარა სასმისი თავისი ხელით შემივსო და სრულიად საქართველო და ქართველი ხალხი დალოცა. შემდეგ სინოდის წევრები, ანზორი და მეც გვადღეგრძელა. ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, ჩვენც შევსვით პატრიარქის სადღეგრძელო.

– „ახლა კი წავიდეთ, თქვენი აშენებული ქორწინების სასახლე დავათვალიეროთ, ძალიან აქებენ, მაგრამ მოყოლილს მაინც ნახვა სჯობს“ – ბრძანა პატრიარქმა და წამოვდექით.

სასახლეში დაგვხვდნენ ჩემს მიერ საგანგებოდ გაფრთხილებული დირექტორი ელზა სვიმონიშვილი, მისი მოადგილე ომარ მხეიძე, არქიტექტორი ვიქტორ ჯორბენაძე, მხატვარი ზურაბ ნიუარაძე, სკულპტორი გია ჯაფარიძე, ვაჟა ორბელაძე, დოდო ლორთქიფანიძე... დავათვალიერებინეთ გაჩირაღდნებული სასახლის დარბაზები. ოქროს ქორწილსაც დავესწარით.

პატრიარქი და მისი თანმხლები სინოდის წევრები აღფრთოვანებულნი იყვნენ. დამშვიდობებისას კი გვითხრა: – ძალიან ნასიამოვნები ვარ, კარგი იქნება ამ ლამაზ შანდლებში ნამდვილი თაფლის სანთლები რომ ენთოს, ამ საოცარ ნაგებობას მეტ სითბოს, მიმზიდველობას და სურნელს შესძენდაო. ეს წინადადება ძალზედ საინტერესოდ მომეჩვენა, მაგრამ სამწუხაროდ მას აღსრულება არ ეწერა.



ბედმა უწმინდესთან კიდევ შემახვედრა. ერთხელ პარიზში „იუნესკოს“ შტაბ-ბინაში მივლინებით გახლდით. მთხოვეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოწვევა გვსურს, დაგვეხმარეთ, მოსაწვევს გაგატანთ, რომ გადასცეთო.

სიამოვნებით დავთანხმდი. როგორც კი თბილისში დავბრუნდი, მაშინვე დავუკავშირდი პატრიარქს.

უწმინდესი „იუნესკოში“ მიწვევამ გაახარა, მაგრამ ჩემმა სიურპრიზმა აღაფრთოვანა. პარიზიდან ჩამოვიტანე ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე დაკრძალულთა ნუსხა და ფოტომასალა.

საპატრიარქოში თან მახლდა იუნესკოს თანამშრომელი, ჩემი ძველი მეგობარი ავთანდილ ქორიძე, რომელმაც ამ ორგანიზაციაში თვრამეტი წელიწადი წარმატებით იღვაწა. მაშინ ლევილის სასაფლაო მასთან და მის შესანიშნავ მეუღლესთან მანანასთან ერთად მოვინახულე, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ ქართველთა საფლავების აღწერაში. შევხვდით უკვე ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტებს. ჩემდა გასაოცრად, ისინი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების გამო. სამწუხაროდ, ეს წმინდა ქართული ხასიათის და გუნების გამოვლენა გახლდათ!

პატრიარქს იქვე ვუჩვენეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ნოე ჟორდანიას საფლავებზე გადაღებული სურათები. ყველაფერ ამას ცოტა ხნით თუ დამიტოვებთო, მკითხა. ცოტა ხნით კი არა, საჩუქრად მოგართმევთ-მეთქი, ძალიან გაიხარა.

ამ შეხვედრას გაგრძელებაც მოჰყვა.

გახსოვთ, ალბათ, მთელ საქართველოში სუფევდა აზრი, თითქოს ნოე ჟორდანიას საფლავზე ამოტვიფრული იყო მისი ლექსი –- **„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო, თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყაროს!..“** ეს სტრიქონები მეხსიერებაში მქონდა აღბეჭდილი: მახსოვს, ჩვენს ოჯახში შეკრებილი მამას მეგობრები, როცა თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოს შესვამდნენ, მთელი პათოსით კითხულობდნენ ამ ლექსს. სხვათა შორის, ეს სტრიქონები ნოე ჟორდანიას არ ეკუთვნის: მისი ავტორი პოეტი, პუბლიცისტი და მხატვარ-კარიკატურისტი სიმონ ბერეჟიანია, (თაყაიშვილი, ბერგერი), რომლის საფლავი; სამწუხაროდ, დაკარგულია.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ჟორდანიას საფლავის ქვაზე ეს პათეტიკური ლექსი ვერ ამოვიკითხე! აი, რას იუწყებოდნენ ქართული და ფრანგული წარწერები: **„ნოე ჟორდანია. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“.**

როცა ილია მეორეს ნოე ჟორდანიას საფლავზე გადაღებული სურათი ვაჩვენე, გაიღიმა და თქვა: **„მარქსის მატერიალურ მოძღვრებაზე აღზრდილი ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიულმა ათეისტურმა ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის წინაშე მევრი ცოდვა ჩაიდინა. საქართველოს ეკლესია თითქმის კანონგარეშედ გამოაცხადა – ეწეოდა მის დისკრედიტაციას. პატრიარქები კირიონი და ლეონიდე მუდმივ ბრძოლაში იყვნენ ჟორდანიას ხელისუფლებასთან, რომელმაც საქართველოს ეკლესიას შენობები, მიწები ჩამოართვა და სკოლებიდან საღვთო სჯულის სწავლება ამოიღო. ჟორდანია ხშირად ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს. ის წერდა: – ქართული პრესა ერთიანად გათახსირებულია, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად, ხოლო ქართული პრესის ეს გათახსირება სწორედ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგია“. ჟორდანიას მთავრობამ, რომელსაც ახლა აიდეალებენ, მიიღო ისეთი კანონები, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გაათანაბრეს ყველა დანარჩენ რელიგიურ კონფესიასთან... საეკლესიო ხატებისა და სიწმინდეების ტაძრებიდან გამოტანა და მათი გაყიდვა დაიწყო...**

ჟორდანიას მეტი წინდახედულება და გონიერება რომ გამოეჩინა, ჩვენი ქვეყნის ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდაო...“

– ნოე ჟორდანია არ იყო, რომ თბილისი, საქართველოს დედაქალაქი ინტერნაციონალურ ცენტრად რომ გამოაცხადა და მხოლოდ ტერიტორიის მესამედი – ვერა და იმის იქით, მიაკუთვნა ქართველებს, დანარჩენი ორი მესამედი კი სომხებსა და აზერბაიჯანელებს-მეთქი, – დავსძინე მე.

მეგონა, მაშინდელი ვიზიტით ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა. მაგრამ, საბედნიეროდ თურმე ვცდებოდი: ჩემი მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ ყოფნისას კიდევ ერთხელ გამიხსენა უწმინდესმა და უნეტარესმა. მიმიწვია და დაუყოვნებლივ ვეახლე.

პატრიარქი ახლაც ჩვეული ყურადღებითა და სიყვარულით შემხვდა. იმან, რაც მან მაშინ მითხრა, აღმაფრთოვანა.

– ლევილში ეკლესიის აშენება მინდა. პროექტის ავტორიც შერჩეული მყავს – პარიზელი ქართველი, აღიარებული არქიტექტორი ალექსი კობახიძე. მართალია, ის პარიზშია დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ მკერდში ქართველი პატრიოტის გული უძგერს... რას მეტყვით, დახმარება რომ გთხოვოთ? – მკითხა და ღვთაებრივი თვალები მომაპყრო.

– თუ პარიზელი ქართველი ამ დიდებული საქმის შემწეობისთვის მზად არის, ომარ მარგველაშვილს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს, - ჩავალ პარიზშიც და ლევილშიც კობახიძესთან და ჩემს მეგობარ გოჩა ჩოგოვაძესთან (ჩვენი ელჩი საფრანგეთში) გავარკვევ ყველაფერს და მოგახსენებთ.

ჩემი პასუხი უწმინდესსა და უნეტარესს ფრიად ეამა – თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდიო – ბრძანა...

სამწუხაროდ, ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა: ლევილის მიწა მაშინ საფრანგეთის მფლობელობაში იყო და დავის საგანს წარმოადგენდა. არადა, როგორ მოუხდებოდა ულამაზეს ყვავილნარში ჩაფლულ ლევილის სასაფლაოს ქართული ეკლესია.

ახლა კი, ლევილის მიწა ქალბატონ თეა წულუკიანის დიდი ძალისხმევით ჩვენ საკუთრებაშია, მაგრამ ვინ არის ამ საშვილიშვილო საქმის თავისმომბმელი?!

გავიდა დრო და ისევ მომიხდა პატრიარქთან პირისპირ შეხვედრა. უწმინდესმა მთხოვა ახალი საპატრიარქოს უკან მდებარე წმინდა გიორგის სახელობის დაზიანებული ეკლესიის აღდგენა – **„წირვა-ლოცვა ვერ ჩაგვიტარებია, გვეშინია უეცრად არ ჩამოინგრეს და უბედურება არ დატრიალდესო“,** ეკლესიაში ადრე რაღაც „ცეხი“ ყოფილა. კათალიკოს-პატრიარქი თვითონ წაგვიძღვა და დაგვათვალიერებინა გავერანებული ეკლესია.

შევღონდი, დახმარება აღვუთქვი. მან დამლოცა. პატრიარქს ვთხოვე, ვინაიდან არც პროექტი არც ნახაზი და ესკიზიც არ არსებობდა, ამ საქმის მცოდნე პიროვნება დაგვხმარებოდა, რომელიც კონსულტაციას გაგვიწევდა. მოგვამაგრეს მღვდელი იოანიმე ასათიანი, არაჩვეულებრივი პიროვნება. მას ვიცნობდი, მშენებლობის სამინისტროში ჩემთან მოდიოდა ეკლესია-მონასტრების საჭიროებისთვის და მეც ვეხმარებოდი სამშენებლო მასალებით, მექანიზმებით და ტრანსპორტით.

მან მართლაც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია და პატრიარქის თხოვნა, ჩვენივე მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით წარამატებით შევასრულეთ. საქმეში მართლაც სული და გული ჩავდეთ, რათა სამეფო კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მშვენიერი ყოფილიყო. ის შესანიშნავი ჯვრით, ზარებით, ჭაღით და ბრეგით შევამკეთ და, ვგონებ, მიზანს მივაღწიეთ. 30 წელზე მეტია ეს ულამაზესი ეკლესია წარმატებით ფუნქციონირებს და ძველი თბილისის მრევლს ემსახურება.

ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲕᲐᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘᲕᲔ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲐ...

ᲐᲛ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲠᲗᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ... ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲐᲓ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ.

საგულისხმოა, რომ უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელბედობის ჟამს, საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან - გრიგოლ ხანძთელს და პატრიარქ კირიონს. ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ეცხადებოდნენ ჭეშმარიტ მხსნელებად.

მართალია, რუსეთთან შეერთების გამო ფიზიკური გადაშენება აღარ გვემუქრებოდა, მაგრამ „ლუარსაბ თათქარიძეს“ დამსგავსებული ქართველის გადაგვარებას წინ თითქოს აღარაფერი ედგა. სწორედ ასეთ დროს მოუვლინა განგებამ მწუხარე ქვეყანას ილია ჭავჭავაძე (წმინდა ილია მართალი), სწორედ დიდმა ილიამ დაუდო საათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ქართველმა ერმა



...ბოლოს და ბოლოს, უნდა მივხვდეთ, როგორი ჰაერით ვისუნთქოთ!

— ჯანსაღი საზოგადოების გარეშე ძვეყანა არ არსებობს. საზოგადოების სიავკარგე განსაზღვრავს ძვეყნის კეთილდღეობას, საზოგადოების სიჯანსაღე განსაზღვრავს ხელისუფლების ხარისხს, — წერთა ოთარ ჭილაძე.

ყველას მოგვეკითხება, სად ვიდექით ამ რთულ პერიოდში

ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის პოსტიდან გავიგე, რომ თურმე ბაიდენის ადმინისტრაციამ უკრაინას 7 მილიარდი, საქართველოს კი 126 მილიონი დოლარი გამოუყო. 126 მილიონიდან 88 მილიონი ქვეყნის არასამთავრებო ინსტიტუტების — ენჯეოებისთვის გაიმეტა, დემოკრატიულ-იდეოლოგიური საქმიანობისთვის... თავდაცვისათვის — მხოლოდ 25 მილიონი!

მიუხედავდ იმისა, რომ ღია მოწოდებები ისმის საქართველოს ომში ჩართვასთან დაკავშირებით! როგორც ვხედავთ, ამერიკა ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიის თავის ჭკუაზე მომართვას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ვიდრე ქვეყნის უსაფრთხოებას!

ხოლო ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი, შეწუხებული აღნიშნავს, რომ მის დროს, საქართველო მსოფლიოს ქვეყნების სამეულში შედიოდა ამერიკის ადმინისტრაციის დახმარების კუთხით!

ცხადია, აქვე ჩნდება ძალიან მტკივნეული კითხვა, ამდენი მილიონი დოლარით დახმარება რა ეკონომიკური გარანტის საფუძველზე ერიცხება ქვეყანას? და საით მიაქანებს მას?ანდა, რა კეთდება ამის საფასურად? — ენჯეოები და ქვეყნის დამაქცეველი მიტინგები?

ამიტომ, ჩემი აზრით აუცილებელია, გავაანალიზოთ როგორ მოვედით დღევანდელ დღემდე?განვმარტოთ რა საფუძვლებზე ვითარდება დღეს საზოგადოება?!

ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ საფუძველს მნიშვნელოვნად განაპირობებს, ის პოლიტიკური ფორმაცია და ის იდეოლოგია, რომლითაც იმართება ჩვენი ქვეყანა. მიტომაც იხარჯება მასზე ამდენი ფული!

ისიც ყველამ ვიცით, რომ 30 წელზე მეტია, ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ მსოფლიოს იმ ზესახელმწიფოების პოლიტიკურ ფორმაციად, რომელთა „სუნთქვაზეა“ დამოკიდებული (დავესესხები ილია ჭავჭავაძეს), ჩვენი ქვეყნის „სუნთქვად“ სახელდება ლიბერალურ-დემოკრატიული ფორმაცია...

ნათქვამია, ხე ნაყოფით იცნობაო და ამ 31 წლის განმავლობაში ვხედავთ რა სიკეთეც მოგვიტანა ამ პერიოდმა: 5 მილიონიდან 3 მილიონამდე შეამცირა ქვეყნის მოსახლეობა და 20 თუ 30 პროცენტით ქვეყნის მიწა-წყალი შემცირებულია!

დიდ ილიას კი ისეთ ძვეყანად, რომელთა „სუნთქვაზე“ იყო დამოკიდებული მაშინ ჩვენი ძვეყნის „სუნთქვა“ რუსეთი მიაჩნდა! ამასთან დაკავშირებით მავანნი სწუხდნენ, რომ „ვერ ვეღირსეთ მის სწორ სუნთქვასო!“ დღევანდელი რელოგითაც, დიდი ბრალდებები ისმის რუსეთის მიმართ!

თუმცა, ისიც სათქმელია, რუსეთთან ურთიერთობისას, საქართველოს 700 ათასიანმა მოსახლეობამ მიუხედავად, ორი მსოფლიო ომისა, 5 მილიონამდე მიაღწია!

ბუნებრივია, თავის მხრივ, რუსეთის სუნთქვა ასევე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მის გარშემო არსებული ქვეყნებისა თუ ზესახელმწიფოების სუნთქვაზე!

მაგალითად, წინა საუკუნეში, რუსულმა ბურჟუაზიამ ვერ გაუძლო დასავლეთის კაპიტალისტურ პოლიტიკასა და კონკურენციას, ვერც წარმმართველი სოციალური ფენის როლის შესრულება შეძლო და ჩაიძირა! ამიტომ მოვიდნენ სათავეში კომუნისტები...

მოკლედ, სოციალურ ფენათა ჯაჭვი გაწყდა იქ, სადაც ყველაზე სუსტი რგოლი იყო.

თუმცა სწორედ კომუნისტების მოსვლის შემდეგ დაიწერა ყველაზე ჰუმანური კანონები ჩვენთანაც და „გაწითლების“ შიშით — მსოფლიოშიც.

შეიქმნა ადამიანის უფლებების დამცველი-ორგანიზაციები და კონვენციები. სხვათაშორის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თანდათან სუსტდება ასეთი ორგანიზაციების გავლენა მსოფლიოში. თავად გაეროს კონვენციებს (მათ შორის ეკოლოგიურ საკითხებზეც) აღარ ემორჩილებიან და ითვალისწინებენ, როგორც საჭიროა!

და სწორედ ამის შემდეგ თანდათან რთულდება დედამიწაზე ადამიანთა სუნთქვა, ამ სიტვის პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით!

ხოლო, რაც შეეხება 30-იანი წლების რეპრესიებს და დიქტატურას, იგი აიკრძალა გასული საუკუნის 70-იანი წლებში მთელ მსოფლიოში, სხვათა შორის, კომუნისტების ინიციატივით. **ისიც სათქმელია, რომ ეს რეპრესიები „ხშირად, დასავლეთის აგენტის“ — ბერიას საშუალებით ხორციელდებოდა, საბჭოეთის რეიტინგის შესამცირებლად და გასანადგურებლად...**

თუმცა, მანამ დიქტატურის გარეშე არც ერთი ქვეყანა არ იმართებოდა. ამიტომ მუშებისა და გლეხებისგან, ამ გაუბედურებული ხალხისგან, რატომ ითხოვენ ისეთ ჰუმანიზმსა და ლმობიერებას, რომლითაც არც ერთი ხელისუფლება არასდროს გამოირჩეოდა?! დაგვავიწყდა, ინგლისელი კოლონიზატორები აბორიგენებს დანაღმულ მიწაზე სიარულს რომ აიძულებდნენ და მათი დაფლეთილი სხეულებით იკვალავდნენ გზებს!!

აღარაფერს ვამბობ სირიაში, ლიბიაში, ერაყში, ადრე ვიეტნამში გატარებული სამხედრო სადამსჯელო ოპერაციებზე.

თუ მართლა დემოკრატია გვაქვს და გამოსავლის პოვნა გვინდა, მაშინ ყველაფერი უნდა ითქვას!

იხ. 9 გვ.

უპირველესად სწორედ მასთან გააიგივა ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის იდეა... სწორედ ამიტომ შეარქვა ერმა „ქვათა ღაღადის“ ავტორს საქართველოს უგვირგვინო მეფე!

გასული საუკუნის დასაწყისსაც დიდი ილიას ტვიფარი აზის, მაგრამ მაშინდელმა ქართველმა ლიბერალ-კოსმოპოლიტებმა არ აპატიეს ერის სულიერი მამობა და წიწამურში აღასრულეს საუკუნის შემზარავი დანაშაული. მიუხედავად ამგვარი მუხანათობისა, ილიას ერი მაინც ვერ გადაგვაჯიშეს. ქართველებმა გაუძლეს ბოლშევიკების უღმერთო შემოტევასაც. სრულიად ანალოგიურია ფუნქცია და როლი ჩვენი პატრიარქისა — ერის სულიერი და ფიზიკური ხსნის იდეა სწორედ მისგან წარმოსდინდება და მისი ღვთაებრივი ქადაგებებით ავლენს თავს... სრულიად აშკარად ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს გამუდმებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებსა და ოჯახზე.

უნდა ვაღიაროთ: გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ მაშინ, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე ჩემი და წინა თაობა გამოვიდა, ორთოდოქსი კომუნისტები თითქმის აღარ იყვნენ და კიდევ თუ სადმე შემორჩნენ, ამინდს ვეღარ ქმნიდნენ. ამიტომ, ფიზიკური გადაშენების, მით უმეტეს, ზნეობრივი გადაგვარების საფრთხე აღარც კი გვემუქრებოდა ქართველებს. მაშინდელი საქართველოს ყველა დონის პარტიული ხელმძღვანელების აბსოლუტური უმრავლესობა საქვეყნო, ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა! მათ შორის, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, მეც გახლდით... პარტიული მუშაკი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი აგური მეც დამიდია სამშობლოს აღმშენებლობაში... არადა აღმშენებლობა მაშინ იყო, თუ იყო.

უნდა გვახსოვდეს: ხელაღებით წარსულის უარყოფა, მომავალს სასიკეთოდ არ ნაადგება!

თუმცა, ამ ყველაფერს, სისხლსავსე საზოგადოებრივ ასპარეზს თითქოს რაღაც აკლდაო და ეს რაღაც, როგორც აღმოჩნდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო! იმ დროს ხალხში, მათ შორის (უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაშიც) იყო ღმერთის რწმენა — ეკლესიებშიც დავდიოდით, სანთლებსაც ვანთებდით, ვლოცულობდით, შვილებსაც ვნათლავდით, წითელ კვერცხებსაც ვაგორებდით საფლავებზე, მაგრამ ეს ზედმეტი აფიშირების გარეშე კეთდებოდა.

საკრალური მნიშვნელობისაა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი — ანუ დღე, როდესაც უფლის ნებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფეო ტახტზე ილია II პათალიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა და დაიწყო მართლმადიდებლობის გაძლიერება-აღორძინების სრულიად ახალი ერა. ერა, რომელსაც ერთნაირი თაყვანისცემით ერიცა და გერიც აშენებდა! საქართველოს მთელ მიწა-წყალს მოეფინა ახალი ეკლესია-მონასტრები.

მას შემდეგ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სიბრძნით იმართება ჩვენი 2000-წლოვანი ეკლესია და არა მარტო ის — რადგან ილია II-ის ავტორიტეტი იმდენად აღმატებული და შეუვალია, რომ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. ამ ხნის მანძილზე, იცვლებიან საერო ხელისუფლებანი... არ იცვლება და კიდევ უფრო მაღლდება სახელი და ღირსება ქართული ეკლესიისა.

გასული საუკუნის 9 აპრილიდან (როდესაც ყურად არ ვიღეთ პატრიარქის შეგონება) მოყოლებული, რა არ გადავიტანეთ, „წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავს“, თორემ სამოქალაქო ომებიდან დაწყებული, ვიდრე 2008 წლის ომამდე, ყველა „სიკეთე“ ვიწვნიეთ. გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ არა ილია II, რა მძიმე შედეგებს მივიღებდით ყველა თავსდამტყდარი განსაცდელისგან...

საარაკოა უწმინდესის როლი აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენების ჟამს... როდესაც ომის გამჩაღებელი კლოუნი სააკაშვილი რუსთაველზე რუსეთზე გამარჯვებას ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მხცოვანი პატრიარქი ოკუპირებული მიწა-წყლიდან დაღუპული მეომრების უპატრონოდ მიტოვებული გვამების გადმოსვენებისთვის იღვწოდა.

ალბათ, არის რაღაც ღვთაებრივი იმაში, რომ მისი უწმინდესობის წინაშე „გამარჯვებული“ რუსი ჯარისკაცებიც კი მუხლებზე ეცემოდნენ და დაკარგულ საკუთარ ადამიანობას წამიერად მაინც უბრუნდებოდნენ.

მრავლისმეტყველი იყო იმავე წლის ბოლოს პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში, რასაც პერევიდან ჯარის გამოყვანა მოჰყვა... თუმცა სააკაშვილის უგუნურმა განცხადებამ იმავე საღამოს უკან შემოაბრუნა რუსული ტანკები!...

ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რა საშინელებათა მომსწრენი ვიქნებოდით ამ კოშმარული 9 წლის განმავლობაში, რომ არა მისი უწმინდესობის ძალისხმევა...

მისივე თქმით, აფხაზეთიცა და ცხინვალიც საქართველოს ორგანული ნაწილია და ისინი კვლავ დაუბრუნდებიან დედა-სამშობლოს... და რომ მის დანაწევრებას არ დაუშვებს ღვთისმშობელი — ჩვენი ერის ზეციური მფარველი და სასოებაა!...

მისი უწმინდესობა ილია მეორე, მეორე ილიაა! ამიტომაც არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს, რადგანაც ამ ღვთიურ ბრძენკაცს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ხვალინდელი დღე იმპოტენტ ნატოს ისტერიულ ყვირილში და ევროკავშირისკენ უგუნურ ლტოლვაში კი არა, არამედ, რუსეთთან კეთილმეზობლობაზე გადის. უპრეცედენტოა საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გავლენა... აშშ-ის გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 94%-ზე დაბლა არ ჩამოდის.

პატრიარქი საოცარი ტაქტითა და ქრისტიანული მზნეობრივი კანონებით უპირისპირდება იმ უზნეობის გამოვლინებებს და უხამსობათა ნაკადს, რაც, სამწუხაროდ. „ცივილიზებული დასავლეთიდან“ მოედინება და ანადგურებს ადამიანის სულიერ საფუძვლებს... მისთვის რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს 200 წლის წინ იყო, ამიტომაც ამშვენებს, ალბათ, მის საბრძანებელს ერეკლე II-ის სურათი...

1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის თავდაუზოგავი ძალისხმევით, აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია.

რელიგია მრავალია, რწმენა კი ერთი. რელიგია მსოფლიო კულტურის მონაპოვარია და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქრისტიანობა რელიგიურ კულტურათა გვირგვინია — იგი პროგრესული რელიგიაა. ქრისტიანობა იშვიათი ჭეშმარიტებაა.

ჩვენმა ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა პატრიარქმა, ღირსეული პიროვნება შეარჩია მოსაყდრედ, წარმატებები ვუსურვოთ ამ კეთილგონიერ ადამიანს.

დამოლოს, თავს უფლებას მივცემ, დიდებული მურმან ლებანიძის ღრმააზროვანი ლირიკული მონოლოგით დავამთავრო უწმინდესისადმი მიძღვნილი ნარკვევი:

მკითხე და გეტყვი, რისი თამარი!
ქართლის ცხოვრების რა ვიცი მეტი!
დავითი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო... პირველი სვეტი!
მკითხე და გეტყვი, რის ვაჟა, მენდე,
ერის მეობით და თავის მეთი,
არც თვითონ შოთა!
დავითის შემდეგ
ილია იყო... მეორე სვეტი!
გაზნექილია ქარში ალვის ხე,
აწეწილია სამშობლოს ხედი...
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე მესამე სვეტი!

იძნეგ სწორედ ჩვენი სათაყვანეველი უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქია ქართველთათვის ნანატრი „მესამე სვეტი?!“

ეს ის საკრალური კითხვაა, რომლის პასუხი ცხადზე-უცხადესია ყოველი ქართველისთვის!..

7 აპრილი, 2022 წ.

◎ მემორიალი

პირადშიც, გუნდურშიც...

აფხაზეთის ომის გმირის თემურ სახოკიას სახელობის ბოულინგის ინტეგრირებულ ჩემპიონატს გორის „სითი მოლის“ ადაპტირებულმა დარბაზმა უმასპინძლა.

ღონისძიების ორგანიზატორ ახალგაზრდულ მედიაკავშირს თანადაფინანსებით პარტნიორობა ადგილობრივმა, ქუთაისისა და თბილისის მუნიციპალიტეტების მერიებმა გაუწიეს, ეროვნული პირველობის რანგის ტურნირში კი მონაწილეობა სამშვიდობო მისიებსა და სხვადასხვა საომარ მოქმედებებში დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა, სამშობლოს ვეტერანმა დამცველებმა, პარასპორტსმენებმა, შშმ პირებმა და საზოგადოებისთვის ცნობადმა სახეებმა მიიღეს. ისინი გორის, ქუთაისის, კასპის, ვანის, საგარეჯოსა და დედაქალაქის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენდნენ.

დავძენთ, რომ ინდივიდუალურ ბრძოლაში გამარჯვება მასპინძელმა **რევაზ გორგაძემ** მოიპოვა, ხოლო გუნდურ გარდამავალ თასს თბილისის მუნიციპალიტეტი დაეუფლა.

◎ ლეგიონერი

პირველი ტიტული

ბალკანური სკოლა წყალბურთში ერთ-ერთი მოწინავეა, ამიტომ საამაყოა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ტალანტის ნიკა შუშიაშვილის სახით ამიერიდან სპორტულ სამყაროში ერთობ დაფასებული ადრიატიკის რეგიონული ლიგის ჩემპიონი გვყავს. ფინალში ჩვენებურის სერბულმა კლუბმა „ნოვი ბელგრადმა“ პრინციპული ბრძოლა მოუგო ხორვატულ „იადრანს“ — 14:11.

პირველ ტიტულამდე მოცურავეთა დინასტიის წარმომადგენელი „ლიგამუსში“, „ივერიაში“, „თბილისში“, „დინამოში“, გერმანულ „შპანდაუსა“ და ასევე სერბულ „შაბაცში“ ოსტატდებოდა 9 წლიდან, ხოლო „ჯვაროსნებში“ მიწვევამდე ქვეყნის 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ღირსებას იცავდა. დავძენთ, რომ ნიკა ბელგრადში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს და თავისუფალ დროს იქაური ღირსშესანიშნაობებით ტკბება, გუნდში პარტნიორობას კი ერთბაშად 5 ოლიმპიურ ჩემპიონს უწევს.

◎ მარადონას საუფლოში

ტორნადო აპენინებზე?

„თუ „ნაპოლი“ ხვიჩა კვარაცხელიას დაიმატებს, ეს შთამბეჭდავი შენაძენი იქნება. ამ ბიჭის რამდენიმე ვიდეო ვნახე და შემიძლია ვთქვა, რომ იგი ტორნადოსავით სწრაფია გასაოცარი დრიბლინგით, თანაც ერთ-ერთია იმ უიშვიათეს ფეხბურთელთაგან, რომელსაც სტადიონზე, სადაც მარადონას უთამაშია, გულშემატკივართა გაგიჟება და ტრიბუნების დამუხტვა შეუძლია“, — დარწმუნებულია იტალიური გრანდის ოფიციალური რადიოარხის დირექტორი **ვალტერ დე მაჯიო** და მიუკიბ-მოუკიბავად აცხადებს: **„მწამს, რომ ეს ჭაბუკი შეიძლება პირველი ივლისიდან მოვიდეს. არ მეძინა, ამ საკითხზე ვმუშაობდი დილით, ლანჩზეც და წუხელაც. „ნაპოლიმ“ არჩევანი დიდ ტალანტზე შეაჩერა და ეს ნამდვილად ხმაურიანი ტრანსფერი იქნება. ახალგაზრდა ფეხბურთელის დამატება აუცილებლად გამოვა“,** — ამშვიდებს ქომაგებს, პარალელურად, კლუბის პრესსამსახურის თანამშრომელიც.

ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის შესაძლო აკაშკაშებას „სერია — ა“-ში სხვა იტალიელი ჟურნალისტებიც ემხრობიან:

ალფრედო პედულა — „დიახ, „ნაპოლი“ კვარაცხელიას ყიდვას აპირებს და ამ ეტაპზე დეტალები განიხილება. ის დიდი პერსპექტივის მქონე მოთამაშეა, რომელიც რუსეთის ჩემპიონატიდან, კერძოდ — ყაზანის „რუბინიდან“ მოდის, ბათუმის „დინამოში“ კი უკრაინაში მიმდინარე ომის გამო აღმოჩნდა, რადგან რუსეთში გაჩერება აღარ შეეძლო“.

პაოლო დე ჯენიო — ტაქტიკის ექსპერტი: „კვარაცხელიას მატჩები ვნახე, მათ შორის სანაკრებოც და, მართლაც, ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. მას თვალსაჩინო პროგრესიც აქვს, არის სწრაფი და დრიბლინგიც შესანიშნავად ეხერხება. მოკლედ, ძალიან კარგი ტრანსფერის მომსწრენი ვხდებით. არ მაინტერესებს, რომ აპენინებზე, ნისლიან ალბიონზე ან სხვა ტოპ-ლიგებში არასდროს უთამაშია. თუ ფეხბურთელი ძლიერია, ეს მაშინვე ჩანს. ვიმედოვნებ, რომ კლუბი მის შეძენას რაც შეიძლება მალე მოახერხებს, რადგან ამ ბიჭს გააჩნია ის თვისებები, რომ „ნაპოლიში“ წარმატებებს მიაღწიოს. დიახ, „კვარა“ ძალიან ძლიერი მოთამაშეა და იგი ჩვენი გუნდისთვის დიდი შენაძენი იქნება“.

ასეთ პრესას, დაგვეთანხმებით, ყველა ინატრებდა, მაგრამ, ბუნებრივია, აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც სკეპტიკურად, ზოგი კი, თუ ობიექტურნი ვიქნებით, მტრულადაც უყურებს მომავალ კონტრაქტს:

ენრიკო ფედელი — „პარმას“ ყოფილი მენეჯერი, ფაბიო კანავაროს ყოფილი აგენტი: „რა უნდა გააკეთოს „ნაპოლიმ“ კვარაცხელიათი? საუბარია ფეხბურთელზე, რომლის გვარსახელის გამოთქმაც გვიჭირს. ჩვენ ხომ ისეთ მოთამაშეს ვეძებთ, ვისაც უკვე აქვს „სერია — ა“-ში გამოსვლისას შეძენილი გამოცდილება“.

ნიკოლა ბინდა — „გაძეტა დელო სპორტი“: „არ მესმის, რატომ გადაწყვიტა „ნაპოლიმ“ ბათუმის „დინამოდან“ ვიღაცის შეძენა? გესმით? — ბათუმის „დინამოს“ მოთამაშის?! შეიძლება, კვარაცხელია ფენომენია და ჩემი რომელიმე სიტყვა ფაქტებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ამ მომენტში მათი თანამშრომლობა წარმოუდგენლად მიმაჩნია“.

ასე რომ, ოპონენტთა ბიზნეს-ინტერესებითა თუ სხვა მიზეზებით ნასაზრდოები თავხედობის მიუხედავად, ჩვენი უნიჭიერესი 21 წლის თანამემამულის ირტალიური კარიერა სულაც არ გამოიყურება უტოპიურად. პირიქით — მის კანდიდატურას მხარს თვით „ნაპოლის“ სპორტული დირექტორი **კრისტიანო ჯუნტოლი** და მეპატრონე, სახელოვანი კინოპროდიუსერი **აურელიო დე ლაურენტისი** უჭერენ. მეტიც — იქაური პრესა იუწყება, რომ „ნაპოლი“ ხვიჩას 5-წლიან კონტრაქტს უმზადებს.

შეგახსენებთ, რომ აპენინელები შარშანაც იყვნენ დაინტერესებულნი „ჯვაროსნით“ და მისი შეძენის მიზნით **კახი კალაძეს** ძველი მეგობრები **პაოლო მალდინი** („მილანის“ ტექნიკური დირექტორი) და **ჯენარო გატუზო** („ნაპოლის“ მაშინდელი მწვრთნელი) დაუკავშირდნენ კიდეც, მაგრამ... სხვათა შორის, იმ დროს ქართველ შემტევს 20 მილიონად აფასებდნენ.

◎ ხუთი რგოლი

წონები დაამტკიცეს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელმა საბჭომ პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების მოკრივეთა ტურნირისთვის საკვალიფიკაციო სისტემა და წონითი კატეგორიები დაამტკიცა.

„მინდა ყველას მივულოცო ეს შესანიშნავი შედეგი! ჩვენ არა მარტო შევიმუშავეთ მოკრივეთათვის პროცედურები, რომლებიც IOC-თან ერთად უნდა გახდეს პარიზის თამაშების ნაწილი, არამედ IOC-მა თავის მხრივ, დაამტკიცა სისტემა, რომელიც მომართული იქნება კრივის საერთაშორისო ასოციაციის (IBA) ღონისძიებებზე. დარწმუნებული ვარ, თქვენც მიხვდებით, თუ რამდენად დიდი ნაბიჯია ეს ჩვენთვის.

ჩვენ მივაღწიეთ ნდობას და თავდაჯერებულობას, ახლა კი ჩვენს მიერ დადებული პირობები უნდა შევასრულოთ,“ — განაცხადა IBA-ს პრეზიდენტმა **უმარ კრემლევმა.**

მოკრივეთა ოლიმპიური ტურნირი კაცებში შვიდ — 51, 57, 63,5, 71, 80, 92, +92, ქალებში კი ექვს — 50, 54, 57, 60, 66, +75 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ტოკიოს თამაშებზე მედლები კაცთა რვა და ქალთა ხუთ წონით კატეგორიაში გათამაშდა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

მარადიული არაფერია

ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მერვედფინალში მიუნხენის „ბაიერნმა“ პირველ მატჩში ბეწვის ხიდზე გაიარა სტუმრად „ზალცბურგთან“, მაგრამ ბოლო წუთზე გადარჩა. ამჯერად კოკამ წყალი ვეღარ მოიტანა.

ჩემპიონთა ლიგაში რეკორდმაისტერის წაუგებელი ხუთწლიანი 22-შეხვედრიანი სერია ესპანეთში შეწყდა — 0:1 „ვილიარეალთან“.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელსაც „პარი სენ-ჟერმენს“ ის **უნაი ემერი** წვრთნიდა, ვინც ამჯერადაც მოახერხა მრისხანე მეტოქის დამარცხება.

სხვათა შორის, სტუმრებს პირველ ტაიმში ერთხელაც არ დაურტყამთ ზუსტად „ყვითლების“ კარისკენ და კუთხური არ მოუწოდებიათ. მაშინ, როცა ერთხელ ისინი კარის ძელმა იხსნა, მეორე გოლი თამაშგარე მდგომრეობის გამო გაუქმდა და რამდენჯერმე ბედმა გაუღიმათ.

ზემოთ პირენეელთა თავკაცი ვახსენეთ და ისიც სათქმელია, რომ მან ჩემპიონთა ლიგაში 50-ე თამაში ჩაატარა და მისმა გაწვრთნილმა გუნდმა პირველად უწია მეოთხედფინალს საერთო ბალანსით 22 გამარჯვება, 10 ფრე და 18 წაგება, ხოლო ბავარიელთა ავსტრიელი მცველი **დავიდ ალაბა** თანამემამულეთაგან პირველია, ვინც ჩემპიონთა ლიგაში მე-100 თამაში გამართა.

დღის გმირად მოგვევლინა მადრიდის „რეალის“ ლიდერი **ქარიმ ბენზემა,** რომელმაც სტუმრად სამიდან 2 ბურთი ზუსტი თავური დარტყმით გაუტანა „ჩელსის“ — 3:1.

სხვათა შორის, იგი პირველი ფრანგია, ვინც ევროტურნირებში ჰეთ-თრიქი შეასრულა „არისტოკრატებთან“.

არანაკლებ წონადია „ლივერპულის“ მიღწევა, რომელმაც პირველად მოიგო ზედიზედ მერვე გასვლითი შეხვედრა ყველა ტურნირში, ამჯერად „ბენფიკასთან“ — 3:1, მისი მცველი **კონატე** კი „წითლების“ მე-20 ფეხბურთელია, ვინც სეზონში გოლი გაიტანა.

მეოთხედფინალური პლეი-ოფის ლაქად „სიტისა“ და „ატლეტიკოს“ პირველი რაუნდი იქცა, რომელშიც **სიმეონეს** შეგირდები 70 წუთის განმავლობაში წარმატებით თამაშობდნენ ანტიფეხბურთს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაუძლეს მასპინძელთა შტურმს — 1:0 **%დე ბრუინი).**

სხვათა შორის, კვირას პრემიერლიგაში „ოქროს მატჩია“: „სიტი“ — „ლივერპული“.

...ბოლოს და ბოლოს, უნდა მივხვდეთ, როგორი ჰაერით ვისუნთქოთ!

(მეშვიდე გვერდიდან)

ახლა კი, როგორც ვხედავთ, დიდი ხანია, მსოფლიოში ეგზისტენციალიზმია. დადასტურდა ადამიანის ბიოლოგიური სახე, დაკნინებული ფსიქიკით, იმდენად, რომ კოვიდ-ფაშიზმამდეც კი მივედით, რომლის გამო 7 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა მსოფლიოში. მერე კი რუსეთის საზღვრებს მიადგნენ და (ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ), რუსეთის მონსტრად ძცევა განაგრძეს, ასე, რომ ორი ყველაზე დიდი მართლმადიდებელი მოძმე ერი ხოცავს ერთმანეთს და დიდი სურვილი აძვთ მესამე უძველესი მართლმადიდებელი ძართული სახელმწიფოც ჩართონ ამ უბედურებაში!

ეს არის დღევანდელი „იდეოლოგიის ჰაერი“, რომელსაც პირბადეებით სუნთქავს მთელი მსოფლიო!

სამწუხაროდ, ეგზისტენციალიზმი ვერ განაპირობებს ადამიანის სულიერების ზრდას, მით უფრო,სოციალურ ფენათა ასე ძალზე არათანაბარი ცხოვრების პირობებში! რადგან ამ დროს უფრო ადვილია საზოგადოების მართვა და მისი ეკონომიკური დაკაბალება!

დიახ, ეგზისტენციალიზმმა გადმოაპირქვავა ადამიანი და მისი ყველა უარყოფითი თვისება ზედაპირზე ამოატივტივა! ამით დაარწმუნა მართული საზოგადოება, რომ ადამიანი ბოროტია და მისგან კარგს არაფერს არ უნდა ელოდონ! ამიტომ, თავად უნდა დაამარცხოს და გაანადგუროს, სანამ მას დაამაცხებენ და გაანადგურებენ!

ესეც დღევანდელი იდეოლოგიის შედეგია, ამ ჰაერითაც სუნთქავენ საგულისხმო რაოდენობის ორგანიზაციები და შესაბამისად ადამიანები!

არადა, ადამიანი ხომ, ყველა კარგი და ცუდი ადამიანური თვისების მატარებელია, მაგრამ ამავდროულად, იგი ღვთის ხატი და მსგავსია. ხოლო თითოეული თვისება იმის მიხედვით გამოვლინდება, თუ რა გარემოში და რა იდეოლოგიურ ჭრილში ამყოფებ და ასუნთქებ მას! ცხადია, ცხოვრების მძიმე პირობები კარგ თვისებებს ვერ ავითარებს მასში!

დიახ, ეგზისტენციალიზმის ფუძემდებლებსა და მიმდევრებს: ჟან-პოლ სარტრის, კირკეგორს, ჰაიდეგერს, კამიუსა და სხვებს ჰქონდათ თავიანთი იდეალი და მორალური ღირებულებები, მაგრამ მათმა მცდელობამ ის შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ეგზისტენციალისტები არ ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ ამოწურავს ადამიანის სურვილებს! (ეგზისტენციალურ ნაწარმოებში, ზოგჯერ ამ გზით საკუთარი ქალიშვილის სარეცელამდეც კი მიდიან!).

ამიტომ საერთოდ ფარისევლობად მიიჩნევდნენ სარწმუნოებას (განსკუთრებით კირკეგორი), ხოლო რელიგიურ მცნებებს და პრინციპებს ადამიანზე ძალდატანებას უწოდებდნენ. ეკლესიაში სიარულს სისულელედ, თვალთმაქცობად თვლიდნენ. მის საპირისპირო ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ და ბეკეტის გმირებივით, დღემდე, ახალი გოდოს, ახალი ღმერთის მოლოდინში არიან!

ამ იდეოლოგიის გავლენა თანდათან იზრდება ჩვენს ქვეყანაშიც. ამიტომ თანდათან მცირდება ახალგაზრდების რიცხვიც ეკლესიებში!

არ ვიცი, ახალი ველოსიპედი რამდენად უკეთესი გამოდის, მაგრამ „ეგზისტენციალიზმი არა მხოლოდ კლასიკურ იდეალიზმს უპირისპირდება, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული აზროვნების ჰეგელისეულ თვალსაზრისსაც“ – ამბობს ცნობილი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე.

ამავე დროს, ეგზისტენციალისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის რეალური სახე თავისუფლების დროს გამოვლინდება! და საკითხს ასეც კი აყენებენ, რომ თითქოს თავისუფლება მშვიდობაზე მაღალი ღირებულებაა! მაგრამ თუ მშვიდობა არ იქნა ისე თავისუფალი, როგორ იქნება ადამიანი?!

თუმცა, სად არის მერე ეს თავისუფლება?

აი, თუნდაც ამ ეგზისტენციალურ რეალობაში, იგი ხომ ჭადრაკის ფიგურების მსგავსად, კაუზალურ რიგშია ჩართული და მისი ქმედებები გარემოებების მხრივაა განსაზღვრული! ამიტომაც წუხს ადამიანი, ხან მარტოსულობით იტანჯება და ხან სუიციდით წყვეტს არსებობას. უჭირს, როცა ეკონომიკური სიდუხჭირე ცუდ თვისებებს ავითარებს მასში. რეალურად, დიახ, ადამიანი სავსებით მოკლებულია თავისუფლებას, ანუ იგი თავისუფალია მხოლოდ ნაწილობრივ და ფარდობითად.

მით უფრო, არ ვიცით, როდის და რა დროს გვაგებინებს პასუხს განგება ჩვენ მიერ ჩადენილ შეცდომებზე, თუ სხვების მიერ ჩადენილ ბოროტებაზე, რომლის შესახებ ხმა არ ამოვიღეთ, ეს აბსოლუტური გონის, შემოქმედის გაკვეთილია კაცობრიობის მიმართ, ჩვენც მხოლოდ ასეთ ფორმატში შეგვიძლია არსებობა! ამიტომ ამ ფარსი თავისუფლების სახელით მშვიდობას მაინც ნუ გავწირავთ!

აქვე ისიც სათქმელია, ახალი საფრთხის წინაშე ვართ: სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ეშინია ომის და აპირებს რეფერენდუმის ჩატარებას რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით! ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთთან ჩვენი საზღვარი მთლად გორთან გადმოიწევა! ესეიგი ამ საკითხშიც ჩვენი სუნთქვა აშკარად დამოკიდებულია რუსეთის და არა დასავლეთის განწყობასა და სუნთქვაზე!

კარგა ხანია ლაპარაკია, კიდევ მეორე საშიშროებაზე – აჭარისათან თურქეთის დამოკიდებულებაზე და ამ დამოკიდებულების საშიშროებაზე!

ამ შემთხვევაშიც ჩვენი სუნთქვა უალტერნატივოდ დამოკიდებულია რუსეთის და არა დასავლეთის განწყობაძე და სუნთქვაზე!

ამიტომ არის რომ, ხელისუფლებაც არ არის თავისუფალი და დამოუკიდებელი... ორმაგ თუ ათმაგ წნეხშია! დიახ, სჭირდება ჩვენი თანადგომა, რათა შიდა და გარე ძალების ზეწოლას გაუძლოს და, ღვთის შეწევნით ქვეყანა სამშვიდობოს გაიყვანოს!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდ ილიას ისეთ ქვეყანად, რომელთა „სუნთქვაზე“ იყო დამოკიდებული მაშინ ჩვენი ქვეყნის „სუნთქვა“ რუსეთი მიაჩნდა!

ისიც სათქმელია, მაშინ ადამიანს განა მარტო უფლება ჰქონდა მიეღო განათლება და დაეცვა თავისი ჯანმრთელობა, როგორც იკითხება დღეს ჩვენს კონსტიტუციაში, არამედ ეს ყველაფერი უფასოდ ჰქონდა გარანტირებული, თან გაცილებით იაფ მედიკამენტებთან ერთად! კომუნალურ გადასახადებზე აღარაფერს ვამბობ!

ესეიგი მაშინ ჩვენი ჰაერი და სუნთქვა გაცილებით იაფი, მოსახერხებელი და ჯანსაღი იყო! რადგან მაშინ იდეოლოგიაც ადამიანის კეთილ თვისებებსა და საწყისებს ემყარებოდა და არა ეგზიტენციალურ ბოროტ საწყისებზე.

ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, მალე კიდევ 88 მილიონი დოლარი ჩაერიცხება ენჯეოებს,იმ იდეოლოგიური ჭრილის მისაღებად, რომელიც მხოლოდ გადამხდელის ინტერსებსა და სუნთქვას ემსახურება და არა ჩვენსას!

ანუ ყველაზე მეტი ინვესტიცია, ამ კუთხით არის განსაზღვრული! რწმუნდებით ალბათ, რომ იდეოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ იხარჯება მასზე ამდენი ფული!

რაც იმას მიშნავს, რომ კიდევ უფრო გაჭირდება იმ სპექტაკლების დადგმა, იმ ფილმების გადაღება თუ იმ მხატვრული პროზისთვის მწვანე შუქის ანთება, რომლებიც ამ იდეოლოგიურ ჭრილში ვერ მოთავსდება... კიდევ უფრო მეტ ბრძოლას დაუწყებენ ეკლესიასა და უწმინდეს!! კიდევ უფრო გაიზრდება ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა! კიდევ მეტი ახალგაზრდა აღარ ივლის ეკლესიაში და შემცირდება კავშირი თაობათა შორის! კიდევ უფრო მეტად ხელს შეუშლიან ხელისუფლებას ქვეყნისთვის სასიკეთო რეფორმების გატარებაში! კიდევ უფრო შეუტევენ იმ ტელევიზიებს, რომლებიც მათგან განსხვავებულ, ალტერნატიულ მოსაზრებებს გააჟღერებენ!

სამაგიეროდ, ალბათ, გაიზრდება ისეთი გადაცემების რიცხვი, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინ ვუყურე და დღემდე მახსოვს!! „არტარეაზე“, ახალგაზრდებისთვის ლექციას აჩვენებდნენ. ლექტორი ისეთი თავდაჯერებით და აღფრთოვანებით საუბრობდა, მეგონა, რომელიმე კლასიკოსის შესახებ უყვებოდა სტუდენტებს. გამიკვირდა,როცა გავიგე, რომ ლაპარაკი წინა საუკუნის პირველი ნახევრის ავტორსა თუ რეჟისორზე, ანტონ არტოზე იყო,რომელსაც ერთადერთი წარუმატებელი სპექტაკლის „ჩენჩის“ გარდა არაფერი დაუდგამს და გაუკეთებია. ის ჩვენი თავმომწონე ლექტორი ფილოსოფოსი კი აფრქვევდა და აფრქვევდა არტოს უდიდეს სიბრძნეებს. მაგალითად, არტო თურმე წერდა: „ლიტერატურა არის ბოროტების სახეობა, თავად არის ბოროტება, ნორმიდან ამოვარდნილობის გამოსახვა და არანორმალურობის გააზრება...“ წარმოგიდგენიათ?! რა ხდება? მერე მარკიზ დე სადზე, ჟორჟ ბატაილზე ჩვენთან ასე გაპიარებულ-ნიცშესზეც ილაპარაკა. წაქცეულს ხელი ჰკარიო, ღმერთი მოკვდა და ახალი უნდა დავბადოთო!აი, ასე გვმოძღვრავენ თუ ბოდავენ!

ამიტომ ბევრი მეუბნება, ღმერთმაც ხელი მოგიმართოს, მაგრამ აზრი?ამათთან, მარტო შენ რას უნდა გახდეო? თუმცა ისიც ხომ თქმულა, „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო?“ მე ჩემსას ვცდილობ, ნიკალა ფიროსმანის არ იყოს, თითქოს ღმერთი მათრახით მადგას თავზე და წერე, ია, წერეო, – ჩამძახის. თან იმის იმედი მაქვს, იქნებ მკითხველშიც აღმოჩნდეს ვინმე ნორმალურად თანამოაზრე.

ეს ყველაფერი მარტო ჩემთვის ხომ არ არის მიუღებელი და საფრთხის შემცველი?! ან როგორ შეიძლება, პასუხი არ გასცე იმ პოზიციას, რომლითაც ახალგაზრდობას ანტონ არტოს,ჰუგო ფრიდლიხის და მისნაირების (ძირითადად, ჰიტლერის იდეოლოგებით) „სიბრძნით“ უტენის თავს! მაგალითად, თითქოს „ლიტერატურა აღწევს უმაღლეს აზრს მაშინ, როცა ის ბუნდოვანია,“ ან თურმე „ბოროტების სახეობაა! – აი, ასე მივედით კოვიდ ფაშიზმამდე!

ამიტომაა, ძნელი, რომ დაასახელოთ, ამ 30 წელიწადში, ისეთი ფილმი, სპექტაკლი ან პროზაული ნაწარმოები, რომლებსაც დღის სინათლე ეღირსა და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს დადებითად წარმოაჩენს? ან მემარცხენე იდეოლოგიის მნიშვნელობას არ უარყოფს?

ტყუილად კი არ დაუხოცია ბრეივიკს 70 ახალგაზრდა სოციალისტი. ახლა შეწყლებას რომ უპირებენ!! დამერწმუნეთ, ასეთ თავისუფლებისთვის არ ღირს თავის გაწირვა, რაც არ უნდა დიდ ანაზღაურებას ღებულობდეთ ამაში!

და თუ ეს ასე გაგრძელდა, მაშინ შესაბამისად შემცირდება ეროვნული ჰაერის მიწოდება ქვეყნის მოსახლეობისათვის და გაძლიერდება ბაბილონის გოდოლის შენება!

ხოლო „როცა ღმერთები საერთო ხდება, მაშინ ისპობა ღმერთიც, ხალხიც და ისპობა რწმენაც.იქ იწყება გადაგვარება და იშლება ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.ამ დროს, ადამიანის გონებას არ შეუძლია ერთი მეორისგან გარჩევა“. „ასეთ ყოფაში კი, ანუ ასეთ ბაბილონის გოდოლის ქვეშ ცხოვრებისას ორი-სამი თაობაა საკმარისი ერის გადაგვარება რომ მოხდეს“ (დოსტოევსკი) ამიტომ უნდა გავერთიანდეთ!

შეიძლება, თაობათა შორის სხვადასხვა ინტერესები და მოთხოვნილებები ჩნდება, მაგრამ ეს განსხვავება არ შეიძლება საერთო შეუთავსებლობაში გადაიზარდოს.მაშინ თობათა შორის კავშირი გაწყდება და ენერგიის წრებრუნვის შეუქცევად დეფიციტს გამოიწვევს.

დიახ, ერის მარადიულობა, თაობათა ჰარმონიული, თანაზიარი წრებრუნვით მიიღწევა მხოლოდ.ეს ღვთიური კანონია და რევიზიას არ ექვემდებარება! ამიტომ ერები საკუთარ მისიებს ვეღარ შეასრულებენ და სწორედ ეს დააყენებს მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ!!

ნათქვამია, „არა არს კაცი ცხონდეს და არა სცოდოსო.“ მაგრამ თუ ჩვენი ცხოვრების ცოდვილ შარაზე გადაბრუნებულ ურემთან საკუთარი „მერანის“ თელილ გზას ვერ აღმოვაჩენთ, ისე, განა ყველა ცოდვილი ცხონდება?! ამიტომ გავიმეორებ, გავითვალისწინოთ, რომ ყველას მოგვეკითხება, სად ვიდექით ამ რთულ პერიოდში, ამ 88 მილიონს ვინაწილებდით თუ ქვეყნის ჭირ-ვარამზე და არსებული პრობლემებს გამოსწორებაზე ვფიქრობდით ...ბოლოს და ბოლოს, უნდა მივხვდეთ, როგორი ჰაერით უნდა ვისუნთქოთ!.

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს, რომელსაც რეალურად არ აცლიან საკუთარი ბედი თავად განსაზღვრონ!

ია საკანდელიძე

საქართველო ევროკავშირის დეკლარაციას მიუერთდა

საქართველო მიუერთდა ევროკავშირის დეკლარაციას ბუჩასა და უკრაინის სხვა ქალაქებში რუსეთის მიერ ჩადენილი სასტიკი დანაშაულების თაობაზე. ევროკავშირის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კანდიდატი ქვეყნები ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო და ალბანეთი, სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესის ქვეყანა და პოტენციური კანდიდატი ბოსნია და ჰერცეგოვინა და EFTA-ს ქვეყნები ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია, ევროპის ეკონომიკური ზონის წევრები, ასევე უკრაინა, მოლდოვა და საქართველო უერთდებიან დეკლარაციას. აღნიშნული დეკლარაცია მტკიცედ გმობს მხეცობას, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უკრაინის ქალაქებში ჩაიდინეს.

„მტკიცებულებები მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა და დაჭრილთა უზარმაზარი რაოდენობისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევის შესახებ ჭეშმარიტ სახეს აჩვენებს ამ სასტიკი, აგრესიული ომისა, რომელსაც რუსეთი უკრაინისა და მისი ხალხის წინააღმდეგ ახორციელებს. მასობრივი მკვლელობები ბუჩაში და უკრაინის სხვა ქალაქებში ევროპულ მიწაზე ჩადენილი მხეცობების სიაში შევა“, – აღნიშნულია დეკლარაციაში.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: ზაური უსტიაშვილის (პ/ნ 36001045225), ზურაბი უსტიაშვილის (პ/ნ 36001013807), ლელა უსტიაშვილის (პ/ნ 36001020088) და სოფიო უსტიაშვილის (პ/ნ 36001044049) (შემდგომში - მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთი ს/კ 55.14.53.000.277, ფართობით 1 500 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 31 მარტის №1-1/140 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ზაური უსტიაშვილის (პ/ნ 36001045225), ზურაბი უსტიაშვილის (პ/ნ 36001013807), ლელა უსტიაშვილის (პ/ნ 36001020088) და სოფიო უსტიაშვილის (პ/ნ 36001044049) თანასაკუთრებაში არსებულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1 500 კვ. მეტრი ფართობის, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 55.14.53.000.277) ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: გელა გიუნაშვილის (პ/ნ 36001000258), ლეილა გიუნაშვილის (პ/ნ 36001043563) და ომარი გიუნაშვილის (პ/ნ 36001008377) (შემდგომში - მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1600 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.14.53.000.155) ნაწილი - 573 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 31 მარტის №1-1/140 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება „ ღ Iთ “-ს (ს/ნ 400083832) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.34.275) 270 000 კვ. მეტრის ნაწილზე - 52 969 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, შპს „PERLITE“-ს (ს/ნ 400083832) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040- კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: გივი იარაჯულის (პ/ნ 12001032938), დავითი იარაჯულის (პ/ნ 12001044791) და კახაბერი იარაჯულის (პ/ნ 12001067744) (შემდგომში - მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ სართიჭალაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.19.698) მთლიანი ფართობის - 1000 კვ.მ-ის ნაწილი - 329 კვ. მეტრი და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 31 მარტის №1-1/140 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების: გივი იარაჯულის (პ/ნ 12001032938), დავითი იარაჯულის (პ/ნ 12001044791) და კახაბერი იარაჯულის (პ/ნ 12001067744) თანასაკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ სართიჭალაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.19.698) მთლიანი ფართობის - 1000 კვ.მ-ის ნაწილზე - 329 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

გურამ გაბრიჩიძის ხსოვნას

საერთაშორისო დონის სეისმოინჟინერი

ქართულმა საინჟინრო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ გაბრიჩიძე.

იგი დაიბადა 1931 წელს ქ. თბილისში. 1953 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1959 წელს მუშაობა დაიწყო კირიაკ ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობიდან ინსტიტუტის დირექტორობამდე. ინსტიტუტს იგი ხელმძღვანელობდა 1990 წლიდან 2005 წლამდე. 1965 წლიდან იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 1993 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1995 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 2001 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების წევრი. 2012 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სწავლულ მდივნად.

ბატონ გურამ გაბრიჩიძეს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს საინჟინრო მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი იყო 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 მონოგრაფიის ავტორი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავდა საკითხთა ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ სპექტრს, როგორიცაა: მყარი ტანის მექანიკის ზოგადი საკითხები, საინჟინრო ნაგებობათა გეოლოგიურ გარემოსთან ურთიერთქმედების მათემატიკური მოდელირება, კომპიუტერული ალგორითმები, უტოლობები მექანიკაში, საინჟინრო სეისმოლოგიისა და ნაგებობების სეისმომედეგობის საკითხები, სეისმომედეგი პროექტების იდეოლოგია, სამშენებლო ნორმები, ნაგებობათა საიმედობის უზრუნველყოფის კონცეფცია, დაგვიანებულ არგუმენტიანი დიფერენციალური განტოლებები, მასათა მოძრაობის ახალი მოდელი, უწონასწორო პროცესების თერმოდინამიკა და ნაგებობათა ნგრევა მიწისძვრისას, სეისმომედეგი მშენებლობის თანამედროვე იდეოლოგიის შეფასება და კრიტიკა და სხვა. ბატონი გურამ გაბრიჩიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ერთის მხრივ, მიმართული იყო სამშენებლო იდეოლოგიის ფუნდამენტური თეორიული საკითხების კვლევისაკენ, სადაც მას მიღებული ქონდა კონცეპტუალური ხასიათის საერთაშორისო დონის შედეგები, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყნის მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემების მოგვარებისაკენ, აღსანიშნავია, რომ მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა სეისმომედეგი მშენებლობის პირველი ეროვნული ნორმები საქართველოში.

დასაფასებელია ბატონ გურამ გაბრიჩიძის ჩართულობა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის საქმეში, კერძოდ იგი აქტიურად მონაწილეობდა 1991 წელს რაჭაში და 2002 წელს თბილისში მომხდარი მიწისძვრების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში, იყო სამთავრობო კომისიის წევრი და აღდგენითი სამუშაოების იდეოლოგიის ჩამოყალიბების მონაწილე.

ბატონი გურამი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის და საქართველოს მექანიკოსთა საზოგადოების წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრი და სხვა. წლების მანძილზე იყო საქართველოს საინჟინრო სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი,

ბატონი გურამი არჩეული იყო აშშ მეცნიერების, მრეწველობის, განათლებისა და ხელოვნების აკადემიის წევრად.

ბატონი გურამი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (2001 წ). იყო კირიაკ ზავრიევის სახ. აკადემიური პრემიის ლაურეატი (2008 წ).

გურამ გაბრიჩიძე გამოირჩეოდა საუკეთესო პიროვნული თვისებებით, იყო უაღრესად კეთილშობილი, თავმდაბალი და მეგობრული ადამიანი. კოლეგებში სარგებლობდა დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის და დიდი ტკივილი ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც მას პირადად იცნობდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი სამშენებლო მექანიკის დარგში, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გურამ გაბრიჩიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება — 8 აპრილს, 15 საათზე (ვაკის სამების ეკლესიიდან)

უახლოესი მეგობრები და თანამშრომლები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აპარატიდან იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ინჟინერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დამსახურებული მოქალაქე

გურამ გაბრიჩიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გივი აბდუშელიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, ალექსი მირიანაშვილი, ეკატერინე ჟღენტი.

ლალი ტერენტის ასული მეკოკიშვილი

დღეს, 8 აპრილს შესრულდა 40 დღე, რაც ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლეთ.

ქალბატონო ლალი, თქვენ იყავით კეთილშობილებისა და სტუმართმოყვარეობის მაგალითი. თქვენ გეამაყებოდათ თქვენი ღირსეული ოჯახი, თქვენი მეუღლე, რომელიც თქვენს ხსენებაზე ცრემლს ვერ იკავებს, ასევე ამაყობდით მსოფლიოს ბეჭდაუდებელი ფალავნის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის არსენ მეკოკიშვილის სახელით, თქვენი შვილიშვილებით მარიამითა და რუსუდანით. თქვენი წასვლით გული დაგვწყვიტე ნათესავებსა და მეგობრებს.

ნათელი და სანთელი თქენ უკვდავ სახელს.

თენგიზ ქავთარაძე

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისიბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანისაგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ვალერიანი მიქელაძის (პ/ნ 12001062479) (შემდგომში - მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, შემდეგი უძრავი ქონება:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.28.958; ნაკვეთის წინა ს/კ 81.10.28.770) ფართობით - 4 483 კვ. მეტრი;

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.28.960; ნაკვეთის წინა ს/კ 81.10.28.770) ფართობით - 228 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 31 მარტის №1-1/140 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ვალერიანი მიქელაძის (პ/ნ 12001062479) საკუთრებაში არსებულ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.28.958; ნაკვეთის წინა ს/კ 81.10.28.770) ფართობით 4 483 კვ. მეტრი და გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.28.960; ნაკვეთის წინა ს/კ 81.10.28.770) ფართობით- 228 კვ. მეტრი.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე ვალერიანი მიქელაძის (პ/ნ 12001062479) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

კულტურის დიპლომატია სამშვიდობო პროცესს წაადგება

კულტურის **კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ უწყებათაშორის საკოორდინაციო ჯგუფთან სამუშაო შეხვედრა გამართა.** შეხვედრაზე ბათუმის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელეს.

„შავი ზღვის რეგიონში კულტურის დიპლომატია მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობისთვის. აღსანიშნავია, რომ იუნესკო მხარს უჭერს არსებულ ხედვას და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებაში“, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ. საკოორდინაციო ჯგუფში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან ჩართული.

ამირან გამყრელიძე: წელს, ექსტრაორდინარული თუ არაფერი მოხდა, პანდემია დასრულებულად გამოცხადდება

დაავადებათა **კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, კორონავირუსის მწვავე ფაზა დასასრულისკენ მიდის, რაც ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია წელს პანდემიას დასრულებულად გამოაცხადებს.**

როგორც გამყრელიძე აცხადებს, მნიშვნელოვანია, რომ დღეს, პირველად ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოში კორონავირუსით გარდაცვალების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

„დღეს პირველი დღეა 2020 წლის სექტემბრის შემდეგ, როდესაც კორონავირუსით სიკვდილის ნულოვანი მაჩვენებელი გვაქვს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა პროგნოზით, რასაც დიდი საერთაშორისო ინსტიტუციები აკეთებენ, ეს სტაბილიზაცია უნდა გაგრძელდეს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემია არ გამოცხადებულა დასრულებულად, მაგრამ მისი მწვავე ფაზა, როგორც სტრატეგიულ დოკუმენტშია ნათქვამი, სრულდება. დიდი ალბათობით, თუ რაღაც ექსტრაორდინარული არ მოხდა ამ ვირუსის ბიოლოგიაში, წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია პანდემიას გამოაცხადებს დასრულებულად“, – განაცხადა გამყრელიძემ.

წყალტუბოში ახალი სკოლა გაიხსნა

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ახალი სკოლის სამშენებლო სამუშაოები დაასრულა.**

პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა და მისი ღირებულება 3 534 000 ლარია.

240 ბავშვზე გათვლილი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა. კეთილმოეწყო საკლასო ოთახები, კაბინეტები, ლაბორატორია, სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, დამონტაჟდა გათბობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დამსწრე საზოგადოებამ გეგუთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს თანამედროვე სტანდარტების სკოლაში სწავლის გაგრძელება მიულოცეს. სოფელ გეგუთის საჯარო სკოლა შენობის ავარიულობისა და დემონტაჟის გამო ალტერნატიულ ფართში იყო განთავსებული.

ხარების დღესასწაულის წარგზავნა

მთავარანგელოზ გაბრიელის კრება

8 აპრილს **საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზ გაბრიელის კრებას და ასევე დღეს არის გუშინდელი ხარების დღესასწაულის წარგზავნა – რომლის ტროპარი ასე იგალობება: „...გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხელ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არის ნაყოფი მუცლისა შენისა...“**

...სწორედ მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს მისგან სოფლის მაცხოვრის შობა აუწყა (ახარა). მთავარანგელოზი გაბრიელი ერთ-ერთია იმ შვიდ ანგელოზთაგან, ვინც „შესწირვენ ლოცვათა წმიდათასა და შევლენ წინაშე დიდებასა წმიდასა“. მთავარანგელოზი გაბრიელი არის სიმაგრე ღმრთისა და კეთილი მაცნე ღმრთის საიდუმლოსი.

მან კაცთა მოდგმას უნდა მოუტანოს თავისი ხსნის შესახებ გეგმები. ამიტომაცაა, რომ ეკლესია მთავარანგელოზ გაბრიელს „სასწაულის მსახურს“ უწოდებს. მთავარანგელოზი გაბრიელი ხატებზე გამოსახულია ხელში სამოთხის (თეთრი ზამბახი) რტოთი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, მან ქალწულ მარიამ ღვთისმშობელს ხარების დღეს მიართვა.

საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა იზრდება

ტურიზმის **ეროვნული ადმინისტრაცია მარტის თვის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.**

2022 წლის მარტის თვეში საქართველოში 211 484 საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტი განხორციელდა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +266.3%, საერთაშორისო მოგზაურების აღდგენის კოეფიციენტი 2019 წლის მონაცემებთან 34.1%-ია. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 188 354 შეადგინა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +236.9%-ია, ხოლო 2019 წლის ანალოგიური პერიოდის აღდგენა კი 37.1%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 159 199 შეადგინა, რაც +107,944-ით მეტია 2021 წლის მარტის მაჩვენებელზე (ზრდა +210.6%), 2019 წლის მარტის თვის აღდგენა კი 48.5%-ია.

მსოფლიოს ყველაზე ვიწრო ცათამბჯენი

აშშ-ში, მანჰეტენზე აშენდა ცათამბჯენი, რომლის სიმაღლისა და სიგანის თანაფარდობა 24:1-ია. ეს მონაცემები მას მსოფლიოს ყველაზე ვიწრო ცათამბჯენად აქცევს.

შენობის სიმაღლე 435 მეტრს აჭარბებს. ცათამბჯენის მშენებლობა 2013 წელს დაიწყო. ამ დროისთვის, საცხოვრებელი დანიშნულებით აშენებულ შენობაზე მუშაობა სრულად დასრულებულია და პირველ ბინადრებს ელის.

პუტინის შვილებს სანქციები დაუწესეს

აშშ-მა **რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა, რომელიც მოიცავს ინვესტიციების აკრძალვას, რუსეთის უმსხვილეს ბანკსა და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებს. ამის შესახებ თეთრი სახლის განცხადებაშია ნათქვამი.**

კერძოდ, სანქციები უწესდება რუსეთის უმსხვილეს ფინანსურ ინსტიტუტს, „სბერბანკსა“ და რუსეთის უმსხვილეს კერძო ბანკს, „ალფა ბანკს“. გარდა ამისა, აშშ-ის პრეზიდენტის განკარგულებით, რუსეთის ფედერაციაში ახალი ინვესტიციების განხორციელება იკრძალება. სანქციები ასევე უწესდებათ რუსეთის ელიტის წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებს, მათ შორი: პრეზიდენტი პუტინის შვილები, საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის მეუღლე და ქალიშვილი. გარდა ამისა, აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტმა რუსეთს აუკრძალა ვალების გადახდა აშშ-ის იურისდიქციას დაქვემდებარებული სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0839; ევრო - 3.3633
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0350;
100 რუბლი - 3.6963; თურქული ლირა - 0.2092;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8188;
1000 სომხური დრამი - 6.4644.

ამინდი 8 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+4,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე +18
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+10,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე +19
თბილისი:	ღამე	+11,	დღე +19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge